ყოველი ბოლოსა, „ოქროსა“ ოქროთი

ფასი

ფასი 50 თეთრი

№41 (1067) 17 - 19 აპრილი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

პრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ტექნოლოგიური ინოვაციებისა და სწავლების ცენტრი გახსნეს

რეგიონებში დაწყებული და დაგეგმილი პროექტები

„მოვუწოდებ ბიზნესმენებს, პროექტები ჯახეთში განახორციელონ“

გვ. 6

მამუკა კაციტაძე ბიძინა ივანიშვილს მიმართავს

რას გეგმავს პრეზიდენტთან ერთად არასაპარლამენტო ოპოზიცია და შეუერთდება თუ არა მათ მოთხოვნებს „ფორუმი“

გვ. 5

„აი სი ჯგუფისა“ და „ალითის“ სასამართლო დავის გაუხმაურებელი დეტალები

რატომ ითხოვს სადაზღვევო კომპანიის ადვოკატი მოსამართლის აცილებას

გვ. 7

გვ. 8

მეცნიერებათა დოქტორი აკაკი ტოლიაშვილი განათლების სამინისტროსა და გორის უნივერსიტეტს სასამართლოში უჩივის

სპეციალური რეპორტაჟი შშმ პირებისთვის განკუთვნილი ერთადერთი სოციალური კაფედან

გვ. 9

ალდგომა ზონაზე

პასტის გულით შელებილი ვადაგასული კვერცხი, ორცხობილისგან „გამომცხვარი“ პასკა და ასზე მეტი მოწამლული პატიმარი



გვ. 10

პატიმრის დღიური

პირველად საქართველოში თიბისი ბანკი მიკროსესხებს მომხმარებლის სამუშაო ადგილზე გასცემს

თიბისი ბანკმა ახალი გათამაშება დაიწყო

პრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ტექნოლოგიური ინოვაციებისა და სწავლების ცენტრი გახსნეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის ტექნოლოგიური ინოვაციებისა და სწავლების ცენტრი გახსნეს. ცენტრის დაარსების მიზანია საქართველო-აშშ-ევროკავშირის სამმხრივი თანამშრომლობა ბირთვული და რადიაციული გაუვრცელებლობის სფეროში, საქართველოს აქტიური პარტნიორობა საერთაშორისო პროცესებში, საქართველოს შესაძლებლობების განვითარება რადიაციული გაუვრცელებლობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს შსს-ს კონტრიბუცია ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

გაიმართა სასაზღვრო გამშვები პუნქტების თანამშრომელთა ინტენსიურ სწავლებაში მონაწილე, საუკეთესო შედეგების მქონე მსმენელებისთვის სერტიფიკატების გადაცემის ცერემონია და აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტიდან აღჭურვილობის გადმოცემის დოკუმენტსაც მოეწერა ხელი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შს მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირები, შშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის (NNSA) ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის (DNN) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე დევიდ ჰუიზენგა, აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი და საელჩოს წარმომადგენლები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, **ვახტანგ გომელაურის** განმარტებით: **„ეს მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგია. უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა რადიაციული, ბიოლოგიური, აქტივობების აღმოჩენა. 90% გადაიფარა საქართველოს საზღვრები, გამშვები პუნქტები. დარჩა 10%, რკინიგზის მიმართულება და ისიც, ახალი შენდება. ეს მსოფლიო პრობლემაა. დღეს, რეგიონში მოწინავე ერთ-ერთი სახელმწიფო ვართ, შეგვიძლია, დავეხმაროთ მეზობელ ქვეყნებს გადამზადებაში და სხვადასხვა ნივთიერების აღმოჩენაში. თუ ისინი რამეზე დაეჭვდებიან, შეგვიძლია ჩავიდეთ და იქ აღმოვაჩინოთ რადიაციული თუ ბიოლოგიური ფონი“.**

აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტის ბირთვული უსაფრთხოების ეროვნული ადმინისტრაციის (NNSA) ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის (DNN) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე **დევიდ ჰუიზენგამ** იმაზე ისაუბრა, რატომ გადაეცა საქართველოს შესაბამისი აღჭურვილობა: **„საქართველოს შს სამინისტროსთან უკვე დიდი ხანია ვთანამშრომლობთ. სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში გადავეცით აღჭურვილობა, რომელსაც დღეიდან გამოიყენებენ საზღვრებზე, რათა არ მოხდეს ბირთვული მასალის უკანონო შემოტანა-გატანა. ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ აღჭურვილობა ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტმა შს სამინისტროს გადასცა. ახლა მოხდება აღჭურვილობის დამონტაჟება, რაც ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა. ვიმედოვნებ, საქართველო-ამერიკის პარტნიორობა მომავალშიც გაგრძელდება“.**

აშშ-ს ელჩმა საქართველოში **რიჩარდ ნორლანდმა** კი, ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ საქართველო-ამერიკის პარტნიორობის შედეგად, ბირთვული მასალების კონტრაბანდის აღკვეთის საკითხში მნიშვნელოვანი პროგრესია: **„თანამშრომლობის შედეგად, რადიოაქტიური მასალები აღარ აღმოჩნდება კრიმინალების ხელში. უკვე 10 წელია საქართველო სამაგალითო პარტნიორობას გვიწევს ამ სფეროში. დღევანდელ ღონისძიებაზე ქართულ მხარეს ძალიან სპეციფიკური მოწყობილობა გადავეცით. მიგვაჩნია, რომ ეს პარტნიორობა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომელსაც გლობალური დატვირთვა აქვს. ამ სფეროში ჩვენი თანამშრომლობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება“.**

საქართველოს შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს საქართველოს სასაზღვრო უსაფრთხოების მხარდასაჭერად და მაღალხარისხიანი საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფისთვის, რომლის ერთ-ერთი მიმართულება სახელმწიფო საზღვარზე რადიოაქტიური მასალების გადაადგილების კონტროლია. საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებში რადიაციული კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტთან, რომლის „დაცვის მეორე ხაზის“ (SLD) პროგრამის ფარგლებში, (2006-2010 წწ) საქართველოს ყველა საერთაშორისო სგპ-ში დამონტაჟდა რადიაციული კონტროლის აღჭურვილობა და განხორციელდა პერსონალის მომზადება. SLD-ს პროგრამის ფარგლებში, საქართველოში ბირთვული და რადიაციული გაუვრცელებლობის შესაძლებლობების განსავითარებლად დაახლოებით 40 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა.

საქართველოს შსს-ს ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომლობა აშშ-ს ენერგეტიკის დეპარტამენტთან არ შემოიფარგლება მხოლოდ ტექნოლოგიური მიმართულებით, სტანდარტული სამოქმედო პროცედურების და პერსონალის სწავლების მდგრადი სისტემის განვითარება ასევე SLD-ს ოფისთან თანამშრომლობის სფეროებს წარმოადგენს.

ამერიკელ ექსპერტებთან ერთად, ოტდ-მ შეიმუშავა ახალი სასწავლო კურსი სგპ-ს თანამშრომლებისთვის და ევროკავშირის გაერთიანებული კვლევების ცენტრის (JRC) ტრანსურანიუმის ინსტიტუტის ხელშეწყობით, ორგანიზება გაეწია სგპ-ების თანამშრომელთა ინტენსიურ სწავლებას — „საკონტროლო გამტარ პუნქტში რადიაციულ ნივთიერებათა აღმოჩენა და რეაგირება“. სწავლების შედეგად, შსს-ს საპატრულო პოლიციის და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის 330-მდე თანამშრომელი მომზადდა.

პირველად საქართველოში თიბისი ბანკი მიკროსესხებს მომხმარებლის სამუშაო ადგილზე გასცემს

თიბისი ბანკმა მომსახურების ინოვაციური პლატფორმა დანერგა — ამიერიდან, თიბისი ბანკის მიკრო და აგრობიზნეს მომხმარებლისთვის სესხის აღება ბანკში მიუსვლელად, საკუთარ სამუშაო ადგილზეა შესაძლებელი.

თიბისი ბანკი პირველი ქართული ბანკია, რომელმაც მიკროსესხების გაცემა ბანკის გარეთ, მომხმარებლის სამუშაო ადგილზე დაიწყო.

დისტანციური მუშაობისთვის ბანკი იყენებს სპეციალურ პლანშეტებს, რომლებიც საშუალებას იძლევა სესხის გაცემა მოხდეს ბანკის ფილიალს გარეთ, კლიენტის სამუშაო ადგილზე, მისი ბიზნესის ლოკაციაში ან მისთვის ხელსაყრელ სხვა ადგილზე.

სესხის გაცემის პროცედურა დაახლოებით 45 წუთს საჭიროებს. ამ დროში:

ბანკის თანამშრომელი კლიენტს გააცნობს სესხის პირობებს; მისი მხრიდან სესხით დაინტერესების შემთხვევაში, შეავსებს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და დაამტკიცებს სესხს; სესხის თანხას დარიცხავს პლასტიკურ ბარათზე, რომელსაც იქვე გადასცემს მომხმარებელს.

ამ ინოვაციური ტექნოლოგიის მეშვეობით თიბისი ბანკი თავის მომხმარებლებს მიკროსესხებს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში შესთავაზებს.

დღეს, აღნიშნულ მომსახურებას თიბისი ბანკის 140 თანამშრომელი საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ახორციელებს. მომავალში პლანშეტით მომსახურე ბანკირების რაოდენობა 165-მდე გაიზრდება. ეს ნიშნავს უფრო მეტ მოქნილობას იმისთვის, რომ თიბისი ბანკის მომხმარებლებს გაუმარტივდეს სესხის აღება და მიიღონ მაქსიმალურად მათზე მორგებული სერვისი თავისი სამუშაო ადგილიდან გაუსვლელად — ამ გზით მომხმარებლები დაზოგავენ დროს, ენერგიასა და ყურადღებას არ მოაკლებენ თავის ბიზნესს.

დისტანციური მომსახურება ხორციელდება „სამსუნგის“ სპეციალურად ბიზნესისთვის წარმოებული პლანშეტების, galaxy Tab Active, მეშვეობით. „სამსუნგი“ ასევე ტექნოლოგიურად უზრუნველყოფს პლანშეტების დისტანციურ მართვასა და ინფორმაციულ უსაფრთხოებას. პროგრამული უზრუნველყოფა ხდება „ალტა სოფტვეარის“ მიერ შექმნილი სპეციალური ანდროიდის აპლიკაციის Mobile Loan Officer მეშვეობით, რაც შესაძლებელს ხდის პლანშეტების მეშვეობით სესხის გაცემას.

„ვამაყობთ, რომ პირველად საქართველოში ჩვენ შევთავაზეთ მომხმარებლებს ინოვაციური სერვისი, რომლისთვისაც უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს ვიყენებთ. ჩვენი მიზანია, საქმე, რომელსაც გუშინ ვაკეთებდით, დღეს ვაკეთოთ უკეთ და ამ ტიპის მომსახურების შეთავაზებით, ვფიქრობთ, ვინარჩუნებთ ლიდერის პოზიციას ბაზარზე. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს, „სამსუნგსა“ და „ალტა სოფტვეარს“ ამ პროექტში თანამშრომლობისთვის. თიბისი ბანკი მომავალშიც გააგრძელებს მომხმარებლებისთვის მათივე კომფორტსა და დროის დაზოგვაზე ორიენტირებული სხვადასხვა პროდუქტის შეთავაზებას“, — აცხადებს თიბისი ბანკის დირექტორის მოადგილე მიკროფინანსების დარგში **ნიკოლოზ ქურდიანი**.

„მოხარულები ვართ, რომ თიბისი ბანკმა ძალიან მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია მაღალტექნოლოგიური სერვისების დანერგვის მიმართულებით. Samsung Galaxy TAB Active — ეს არის „სამსუნგის“ მიერ 2014 წელს სპეციალურად ბიზნესისთვის შექმნილი პროდუქტი, რომელიც სრულადაა მორგებული ბიზნესის საჭიროებებს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებული პლანშეტები მაქსიმალურად გაამარტივებს სესხის გაცემის პროცესს და რაც მთავარია, მომხმარებელთა უსაფრთხოება იქნება დაცული“, — აცხადებს „სამსუნგის“ წარმომადგენლობითი ოფისის ხელმძღვანელი საქართველოში, **ნიკოლოზ დობორჯგინიძე.**

„ჩვენს მიერ, თიბისი ბანკის დაკვეთით შექმნილი აპლიკაცია Mobile Loan Officer მთლიანად გათვლილია ბიზნესის მზარდ მოთხოვნებსა და მათ სწრაფ შესრულებაზე. აპლიკაციის მეშვეობით, ბანკის თანამშრომელს ეძლევა საშუალება, შეავსოს სესხის განაცხადი ტაბლეტიდან, დაუკავშირდეს ბანკს და შეასრულოს ყველა საჭირო ოპერაცია, რომელიც საჭიროა სესხის დისტანციური მომსახურებისათვის. აპლიკაციის არქიტექტურა აწყობილია დიზაინის სხვადასხვა ელემენტისა და მსოფლიოში არსებული საუკეთესო გამოცდილების ბაზაზე“, — აცხადებს ალტა სოფთვეარის დირექტორი, **გრიგოლ ნიკოლეიშვილი.**

„ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ — ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაწყებული თუ დაგეგმილი პროექტები

გიორგი იაშვილი

ირაკლი ღარიბაშვილმა რეგიონების შემოვლა დაასრულა. მუნიციპალიტეტების გამგებლებთან, საკრებულოების თავმჯდომარეებთან, თვითმმართველი ქალაქის მერებსა და გუბერნატორებთან შეხვედრის პარალელურად, მთავრობის მეთაური ადგილობრივ მეწარმეებსა და ბიზნესმენებსაც შეხვდა. მან პირადად მოისმინა არსებული პრობლემების და იმ პროექტების შესახებ, რომლებიც განხორციელდა და რომელთა განხორციელება უახლოეს მომავალში იგეგმება.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ქვეყნისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი რეგიონების განვითარება და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამოყენებაა.

სოფლად მცხოვრები გლეხის გაძლიერებაზეა დამოკიდებული ადგილობრივი კულტურისა და იმ მდიდარი ტრადიციების შენარჩუნება, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ბოლო ორი წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში 2000-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი შესრულდა. მათ შორის — გზების რეაბილიტაციის 179 პროექტი. გარემონტდა და მუშა მდგომარეობაში მოვიდა 25 ხიდი. სერიოზული სამუშაოები ჩაუტარდა სასმელი წყლის სისტემებს, რომელთა საერთო რაოდენობამ 152 შეადგინა. გარეგანათება მოეწყო 45 ობიექტზე, ხოლო სანიაღვრე სისტემებში 61 პროექტი განხორციელდა. ნაპირსამაგრი სამუშაოების კი — 41 პროექტი. კონკრეტულად თელავში, ლაგოდეხში, საგარეჯოსა და წნორში მოეწყო მუნიციპალური ნაგავსაყრელები, განხორციელდა სპორტული, საყოფაცხოვრებო, სარწყავი, საკანალიზაციო დანიშნულების ობიექტების რეაბილიტაციის 239 პროექტი.

რაც შეეხება საწარმოებს, ანუ საკითხს, რომელზეც ხელისუფლების ოპონენტები ყოველდღიურ რეჟიმში აპელირებენ. მხოლოდ კახეთის რეგიონში ბოლო ორი წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით, გაიხსნა 36 ახალი საწარმო, ხოლო 267 საწარმო გადაიარაღდა. მართალია, მთელ რეგიონში გლეხებმა მხოლოდ 58 კოოპერატივი შექმნეს, თუმცა შეღავათიანი აგროკრედიტით გაიცა 10 122 სესხი. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში ჩართულია 99 591 ბენეფიციარი. ხელისუფლება ყურძნის წლევანდელ მოსავალზე ახლავე ზრუნავს და უკვე მიმდინარეობს სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარების მონტაჟი. უკვე დასრულდა მეტეოროლოგიური რადიოლოკატორის მონტაჟი. ცნობისათვის, გასულ, 2014 წელს გადამუშავდა 125 ათას ტონამდე ყურძენი, გლეხების შემოსავალმა 175 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

განათლების სამინისტროს მხარდაჭერით რეგიონში 143 სკოლა გარემონტდა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 87 ბაღსა და 1 პროფესიულ სასწავლებელს. ამას გარდა, მალე დასრულდება ლამბალოს სკოლის მშენებლობა, ხოლო 4 ახალი საბავშვო ბაღი უკვე აშენდა და ფუნქციონირებს. ფუნქციონირება დაიწყო საავიაციო უნივერსიტეტის სასწავლო ცენტრმა. განათლების სამინისტრო ამაზე გაჩერებას არ აპირებს და უკვე წელს, დაგეგმილია 49 სკოლის და 3 პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია, ასევე 2 სკოლის პროექტირება.

რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროს, კახეთს გადაეცა სასწრაფო დახმარების 26 ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მანქანა, გაიხსნა 8 ახალი ამბულატორია, ხოლო დედოფლისწყაროში შენდება 25-ადგილიანი ახალი, თანამედროვე ტიპის საავადმყოფო. კახეთში 195 სოფლის ექიმი და 223 ექთანი იღებს გაზრდილ დაფინანსებას, ხოლო 19 275 ოჯახი იღებს სოციალურად დაუცველის საარსებო შემწეობას.

წინა ხელისუფლება მუდმივად იმას გაიძახოდა, ჩვენი მოსვლის შემდეგ გაზი და ელექტროენერგია ყველა სოფელში არისო. არადა, მარტო შარშან კახეთის რეგიონში ენერგეტიკის სამინისტროს ძალისხმევით, გამრიცხველიანდა 27 000 ოჯახი, გაზიფიცირდა 20 300 აბონენტი, ელექტრიფიცირდა 2 უშუქო სოფელი და ამავდროულად ექსპლუატაციაში შევიდა 4 ჰიდროელექტროსადგური.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეგიონში ააშენა 5 სამმართველოს 4 ახალი სასაზღვრო სექტორი, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ გახსნა 3 საზოგადოებრივი ცენტრი, რის შედეგადაც მოსახლეობა სარგებლობს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. გაიხსნა კახეთის რეგიონული არქივის შენობა თელავში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ რეგიონში სასჯელაღსრულების სამინისტროს ძალისხმევით, კახეთში 54 პრობაციონერი დასაქმდა.

რაც შეეხება კულტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე სოფელ დართლოში საუკუნოვანი სახლების სარეაბილიტაციო პროექტი დაიწყო. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი 34 სახლი წელს გარემონტდება და ამ ეტაპზე უკვე დაიწყო 7 სახლის რეაბილიტაცია. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო სოფელ დუისში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციას ახორციელებს, ასევე, რეგიონში მოეწყო სპორტული სტადიონები. დამონტაჟდა სავარჯიშო მოწყობილობები.

არანაკლებ საინტერესოა შიდა ქართლში განხორციელებული პროექტები. იქ არსებული ვითარების გათვალისწინებით, ამ რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ორი წლის განმავლობაში შესრულდა 1281 ინფრასტრუქტურული პროექტი,

მათ შორის, გზების რეაბილიტაციის 231 პროექტი, ნაპირსამაგრი სამუშაოები შესრულდა 27 ობიექტზე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 37 ხიდს, ხოლო 3 ხიდი ახლიდან აშენდა. სასმელი წყლის სისტემების 143 ობიექტი უკვე განხორციელდა და და მოეწყო 13 ახალი ჭაბურღილი, სარწყავი სისტემების 107 ობიექტი. გარეგანათება მოეწყო 84 ობიექტზე. საყოფაცხოვრებო, სანიაღვრე-სადრენაჟე და სხვა დანიშნულების რეაბილიტაცია განხორციელდა 570 ობიექტზე.

შიდა ქართლის რეგიონში ქონება გადაეცა და დაფინანსდა 18 ახალი საწარმო, ხოლო 62 საწარმო გადაიარაღდა. შეღავათიანი აგროკრედიტით გაიცა 2 911 სესხი, ხოლო ადგილობრივმა ფერმერებმა ჯამში 45 კოოპერატივი დააფუძნეს. რეგიონში გაიხსნა სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ცენტრი. საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით 2015 წელს 75 490 ფერმერი ისარგებლებს.

რაც შეეხება განათლების სფეროს. 145 სკოლა და გორის სასწავლო უნივერსიტეტი გარემონტდა და თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა. სოფელ ხოვლესა და აბანოში აშენდა 2 ახალი საჯარო სკოლა. მიმდინარე წელს დაგეგმილია 26 სკოლის და 60 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და 5 სკოლის პროექტირება.

მნიშვნელოვანი სიახლეებია ჯანდაცვის სფეროში. რეგიონს გადაეცა სასწრაფო დახმარების 14 ახალი მანქანა, გაიხსნა 22 ახალი ამბულატორია, ხოლო საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში დაზღვეულია 188 875 ადამიანი. შიდა ქართლში 133 ექიმს და 152 ექთანს გაეზარდა დაფინანსება. გაზრდილ სოციალურ დახმარებას იღებს 17 544 ოჯახი. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში 61-მა ოჯახმა მიიღო დახმარება. ჯანდაცვის უწყებამ უყურადღებოდ არც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დატოვა, რომლებისთვისაც 255 ერთეული დამხმარე საშუალება გაიცა, ხოლო ფინანსური დახმარება 227 ბენეფიციარმა მიიღო.

ენერგეტიკის სამინისტროს წვლილი რეგიონში „მოკრძალებულია“. ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟდა 218 628 აბონენტს, გაზიფიცირდა 12 950 აბონენტი, ხოლო მთლიანად ელექტრიფიცირდა 7 უშუქო სოფელი.

რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დევნილთა სამინისტროს საქმიანობას. შიდა ქართლში, 2012 წლიდან დღემდე, საცხოვრებელი ბინები გადაეცა 249 და დაუკანონდა 300 დევნილ ოჯახს. გორში იწყება 480-ბინიანი კორპუსების მშენებლობა დევნილებისთვის. სოციალური პაკეტით ისარგებლა 8 195-მა დევნილმა ოჯახმა. იუსტიციის სამინისტროს ძალისხმევით, სოფელ მეჯვრისხევში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა და მოსახლეობა სარგებლობს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით.

თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, გორის სამხედრო ჰოსპიტალში პაციენტთა ახალი მისაღები ამოქმედდა, რომლის სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და კარდიო-ქირურგიული განყოფილებები თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი. მიმდინარე წლისთვის შიდა ქართლში დაგეგმილია 659 ინფრასტრუქტურული პროექტი.

მოსახლეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთ რთულ რეგიონად ქვემო ქართლი ითვლება, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები წუწუნის მიზეზს არავის უტოვებს. ქვემო ქართლში დაიგო 353.51 კმ გზა, განხორციელდა 67 გზის მოხრეშა-რეაბილიტაცია-მოასფალტება. გასუფთავდა და პრაქტიკულად ახლიდან გაკეთდა 51 სარწყავი არხი, განხორციელდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის 296 პროექტი. მოეწყო დასვენების 20 ობიექტი, გარემონტდა 19 ხიდი და განხორციელდა გარე განათების 98 პროექტი.

ყველასთვის ცნობილია, რომ ქვემო ქართლში ერთ-ერთი მთავარი რუსთავი-თბილისის ავტობანის მშენებლობაა და აქცენტი მასზე გადატანილი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის გზის 17კმ-26კმ მონაკვეთის და თბილისის შემოსასვლელი გზის 22კმ-34.3 კმ. მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელიც უკვე დაწყებულია. რაც შეეხება ზემოთქმულ ავტობანს, იგეგმება მისი წითელ ხიდამდე მიყვანა, რაც გაზრდის ქვემო ქართლის როლს მეზობელ სახელმწიფოებთან ვაჭრობის კუთხით. უახლოეს მომავალში განხორციელდება თეთრიწყარო-ალექსეევკის საავტომობილო გზის 8 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. რეგიონში, ორი წლის განმავლობაში 28 ახალი საწარმო და 94 კოოპერატივი შეიქმნა, ხოლო 91 საწარმოში ახალი დანადგარები იქნა შეტანილი. შეღავათიანი აგროკრედიტით ქვემო ქართლში გაცემულია 5 488 სესხი, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით სარგებლობს 92 176 ფერმერი. აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში გაცემულია 207 პოლისი, მიმდინარეობს სამელიორაციო სისტემების 10 ობიექტის რეაბილიტაცია და ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სრული რეაბილიტაცია.

გარდაბანში მიმდინარეობს სასათბურე მეურნეობის მასშტაბური პროექტი — უკვე აშენდა 44 ათასი კვ.მ სასათბურე მეურნეობა, სადაც დასაქმდა 108 ადამიანი, ხოლო ინვესტიციამ 10 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. აღნიშნულ სათბურში მოყვანილი კიტრი და პომიდორი იმპორტის 30%-ს უკვე წელსვე ჩაანაცვლებს. 2015 წელს აშენდება დამატებით 85 ათასი კვ.მ სასათბურე მეურნეობა, დასაქმდება 200-ზე მეტი ადამიანი, განხორციელდება დამატებით 20 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიცია.

მარნეულში დასრულდა წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს ბოლნისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, რის შედეგადაც მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება 18-24 საათიანი წყალმომარაგებით. ადგილობრივებს 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფს წალკის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია; ხოლო, თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის შედეგად, წყლის მიწოდების 4-6 საათიანი გრაფიკი, 12-14 საათიანი გრაფიკით შეიცვლება.

რაც შეეხება დევნილთა მხარდაჭერის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს, საცხოვრებელი ფართი გადაეცა 263 და დაუკანონდა 538 დევნილ ოჯახს. „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში შეძენილია 47 სახლი დევნილი ოჯახებისთვის, ხოლო სოციალური პაკეტით ისარგებლა 10 108 ოჯახმა. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ჯანდაცვის მიმართულებით. რეგიონს გადაეცა 25 ახალი სასწრაფო სამედიცინო მანქანა; გაიხსნა 6 ახალი ამბულატორია, სახელმწიფომ გამოისყიდა წალკისა და თეთრიწყაროს სამედიცინო ცენტრები, სოციალურ დახმარებას იღებს 27 454 ადამიანი, ანუ სულ 9 172 ოჯახი.

რაც შეეხება განათლების სფეროს. ქვემო ქართლში 119 საჯარო სკოლა და ერთი პროფესიული სასწავლებელი სრულად გარემონტდა. 77 სკოლის 1271 მოსწავლეს ემსახურება უფასო სასკოლო ტრანსპორტი. თეთრიწყაროში, სოფელ სამღერეთში აშენდა 144 მოსწავლეზე გათვლილი საჯარო სკოლა, ხოლო გარდაბანში, სოფელ ვაზიანში დასრულდა 2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, გაზიფიცირდა 11 საბავშვო ბაგა-ბაღი, გარემონტდა 53 ბაღი, აშენდა ერთი და უკვე მიმდინარე წელს გაიხსნება ორი ახალი საბავშვო ბაღი.

2015 წელს აშენდება ახალი დიოკნისის საჯარო სკოლა. დაგეგმილია 40 სკოლის რეაბილიტაცია, მარნეულის პირველი სკოლის ახალი შენობის პროექტირება და სამედიცინო კაბინეტის მოწყობა 14 სკოლაში.

გარდაბანსა და თეთრიწყაროში აშენდა ახალი ელექტროგადამცემი ხაზები, წელიწადში ორჯერ ყველა ქვესადგურს უტარდება რეაბილიტაცია. მოხდა 1 უშუქო სოფლის ელექტროფიცირება. 2013-2014 წლებში ელეტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟდა 106 სოფლის 16 000-ზე მეტ აბონენტს. გაზიფიცირდა 15 000 ოჯახი. გარდაბანში დაიწყო 230 მგვტ. სიმძლავრის თბოსადგურის მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ აშშ დოლარია. გარდა ამისა, იგეგმება ბუნებრივი აირის სამხრეთ კავკასიური მილსადენის სისტემის გაფართოება; დებედა ჰესისა და თრიალეთი ჰესის მშენებლობა.

რაც შეეხება რეგიონში თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ განხორციელებულ პროექტებს, აღსანიშნავია, რომ მარნეულის საავიაციო ბრიგადაში აშენდა ლაზარეთი, შტაბის შენობა და ერთი ყაზარმა. გაიხსნა საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკის 1 სასაზღვრო სექტორი და საქართველო-სომხეთის რესპუბლიკის 2 სასაზღვრო სექტორი. გარდა ამისა, სასჯელაღსრულების სამინისტროს ხელშეწყობით, გარემონტდა და მოეწყო პრობაციის ბიუროს წალკის ოფისი და დასაქმდა 17 პრობაციონერი. რეგიონში მოქმედებს იუსტიციის სამინისტროს 3 საზოგადოებრივი ცენტრი, 2015 წელს დაგეგმილია ახალი საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა მარტყოფში, რომელზეც მშენებლობის ნებართვა უკვე გაცემულია და სამუშაოები 10 მაისიდან დაიწყება. მიმდინარეობს არქივის შენობის მშენებლობა რუსთავში.

რეგიონში არაერთ პროექტს ახორციელებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 სპორტულ მოედანს. რუსთავში მიმდინარეობს ბავშვთა ფეხბურთის აკადემიის მშენებლობა, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ 6 სავარჯიშო მოედანს, ადმინისტრაციულ შენობას, კორტების მოედანს და საცურაო კომპლექსს მოიცავს. დმანისსა და თეთრიწყაროში დამონტაჟდა ქუჩის გამაჯანსაღებელი მოწყობილობები. 2015 წელს სავარჯიშოები მოეწყობა რუსთავში მარნეულსა და გარდაბანში. შექმნილია ელექტრონული კურსი, რომლის მეშვეობითაც აზერბაიჯანელებს ქართული ენის შესწავლა უფასოდ შეუძლიათ. ამ პროგრამით ასაკი შეზღუდული არ არის და ქართული ენის შესწავლა ნებისმიერს შეუძლია. ბოლნისის სოფელ ხატისსოფელში ჭიდაობის დარბაზის მშენებლობა. ბოლნისის ცენტრალური სტადიონის და მინი სტადიონების რეაბილიტაცია, წალკაში სამი ხელოვნურსაფარიანი სტადიონის აშენება.

რაც შეეხება კულტურის სფეროს — განხორციელდა ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციის პროექტი. ბოლნისში, ელიას მთაზე აშენდა წმინდა პეტრე-პავლეს ტაძარი, მიმდინარეობს ტაძრამდე მისასვლელი გზის მშენებლობა და გარე განათების მოწყობა; ბოლნისის სიონამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა; შეკეთდა ბერთა კელიები ღვთაების მონასტერში.

დასასრული მე-4 გვერდზე

„ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ — ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დაწყებული თუ დაგეგმილი პროექტები

მე-3 გვერდიდან

სრულად გარემონტდა მარნეულის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, სოფელ თამარისის და სოფელ ნორიოს კულტურის სახლები და რუსთავის სამხატვრო სკოლა; გადაიხურა რუსთავის თეატრი; კლასიკური მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვა რუსთავის 2 სამუსიკო სკოლა და სამუსიკო სასწავლებელი; საესტრადო მუსიკალური ინსტრუმენტები გადაეცათ რუსთავისა და მარნეულის კულტურის ცენტრებს; მარნეულის კულტურის სახლი აღიჭურვა კინოჩვენებისთვის საჭირო აპარატურით; სამხატვრო ინვენტარი გადაეცა ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს სამხატვრო სკოლებს; კოდას დევნილთა კომპაქტური დასახლების სახელოვნებო სკოლის დევნილი ბავშვები უფასოდ ეუფლებიან ხელოვნების დარგებს. დაგეგმილია ბოლნისის ცენტრალური კინოთეატრის რეაბილიტაცია.

გარემოს დაცვის მიმართულებით, ტყის აღდგენის მიზნით შეიწამლა 1250 ჰა ტყის მასივი. მოეწყო 2,9 კმ ახალი, ხოლო რეაბილიტირებულ იქნა 5,2 კმ არსებული სატყეო-სამეურნეო გზა; ქვემო ქართლის რეგიონში მუშაობს ორი მყარი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო; პრემიერ-მინისტრის ინიციატივა „მწვანე მომავალის” ფარგლებში ჯამში 40 269 ნერგი დაირგო; გაიხსნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ოფისი რუსთავში; თეთრიწყაროში დამონტაჟდა ავტომატური მეტეოროლოგიური სადგური.

თითქოს წინა ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს. რეალურად კი, ის, რაც ბოლო ორ წელიწადში ამ რეგიონში გაკეთდა, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტოა. დასრულებულია გზების რეაბილიტაციის 772 პროექტი, აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 400-ზე მეტ ხიდს, გაკეთდა წყალმომარაგების 85 პროექტი, წყალარინების ქსელის რეაბილიტაციის 16 პროექტი, კეთილმოწყობის 359 პროექტი, ნაპირდაცვითი ღონისძიებების 142 პროექტი, სპორტული ობიექტების 100-ზე მეტი პროექტი, კულტურის ობიექტები — 8 პროექტი, სანიაღვრე სადრენაჟე სისტემის 127 პროექტი, გარე განათება მოეწყო 10 ობიექტზე, განხორციელდა ახალი შენობების მშენებლობის 8 პროექტი, მოეწყო დასვენების 4 ობიექტი, გაკეთდა ტროტუარების რეაბილიტაცია, დასრულდა სარწყავი არხების 6 პროექტი.

2014 წელს დაიწყო 100 მლნ ლარის ღირებულების თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი, სადაც დასაქმებულთა 70% ადგილობრივი მცხოვრებია. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა და ქონება გადაეცა 22 ახალ საწარმოს, გადაიარაღდა 31 საწარმო. შეღავათიანი აგრო კრედიტის პროექტით ძირითადი და საბრუნავი საშუალებების კომპონენტების ფარგლებში გაცემულია 527 სესხი.

38 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა აბაშაში. კერძოდ, დაიწყო მეცხოველეობის ფერმისა და რძის შემკრებ-გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. ფოთში მიმდინარეობს სავაჭრო ობიექტისა და მასთან არსებული კინოთეატრის მშენებლობა. ზუგდიდში შენდება მაკდონალდსის რესტორანი. მესტიის მიმართულებით ნატახტარის აეროდრომიდან ავიარეისების განხორციელება დაიწყო. 2015 წელს საგაზაფხულო სამუშაოებზე დახმარებას მიიღებს 100 237 ფერმერი. უკვე მოხნულია 36 903 ჰა მიწა. სამეგრელოს რეგიონში გაცემულია აგრო დაზღვევის 1169 პოლისი და დაზღვეულია 1554 მიწის ნაკვეთი.

ზუგდიდში გაიხსნა სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ოფისი. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში 220-ადგილიანი მრავალპროფილური საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა დაიწყო. ზუგდიდში იწყება 34 მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობა და ბინებს 2460 დევნილი ოჯახი მიიღებს.

ამასთან, 2012 წლიდან დღემდე საცხოვრებელი ფართი გადაეცა 792 დევნილ ოჯახს; საცხოვრებელი ფართი დაუკანონდა 1 581 დევნილ ოჯახს; „სოფლად სახლის” პროექტის ფარგლებში დევნილი ოჯახებისთვის შეძენილია 90 სახლი; სოციალური პაკეტით ისარგებლა 20 613-მა დევნილმა ოჯახმა. გაიხსნა ზუგდიდის იუსტიციის სახლი — პირველი იუსტიციის სახლი, ყველაზე ახლოს აფხაზეთთან. სოფელ ჯვარსა და ჭალადიდში გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრები. მოსახლეობა სოფლიდან გაუსვლელად სარგებლობს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. დაგეგმილია ორსანტიას და რუხის საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა.

მცირე პროექტების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება, რაც შეეხება დიდ პროექტებს — აბაშაში გაიხსნა ადგილობრივი არქივი, დაიწყო სამეგრელოს რეგიონული არქივის მშენებლობა, ზაფხულში ფოთში იუსტიციის სახლი გაიხსნება, ფოთში გაიხსნა პოლიციის ახალი შენობა, მესტიაში გაიხსნა სამაშველო ქვეგანყოფილების შენობა, სამეგრელოში ფუნქციონირებს რაიონული პრობაციის 8 ოფისი, გარემონტდა და მოეწყო პრობაციის ბიუროს ოფისი ზუგდიდში, დასაქმდა 13 პირობით მსჯავრდებული, სენაკში II ქვეითი ბრიგადის ბაზაზე დასრულდა სასადილოსა და 10 ყაზარმის მშენებლობა, მარტვილში, ჩხოროწყუსა და ზუგდიდში გაიხსნა ტურიზმის ახალი საინფორმაციო ცენტრები, ჩატარდა მთიანი სამეგრელოს საფეხმავლო მარშრუტების კვლევა, საფეხმავლო მარშრუტების პოპულარიზაციისთვის ჩხოროწყუში გაიმართა ტობა ფესტივალი, მოეწყო სათავგადასავლო ყოველკვირეული ტურები, განხორციელდა სამეგრელოს რეგიონში კანიონინგის პოტენციალის კვლევა და მდინარე ხობისწყლის ხეობაში შემუშავდა 3 რეკომენდებული მარშრუტი, მომზადდა ტურისტულად მიმზიდველი ქალაქებისა და დაბების ბუკლეტები, 2015 წელს იგეგმება ზუგდიდში ტურისტული ობიექტების მიმართულების მანიშნებლების მონტაჟი და ზუგდიდსა და ანაკლიაში საორიენტაციო რუკის 8 „ლაით ბოქსის“ დაყენება, ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა 15 000 ოჯახს, მიმდინარეობს ზუგდიდის ორი საზღვრისპირა სოფლის გაზიფიცირება, ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟდა 12 ათასზე მეტ ოჯახს, დაიწყო ხობი ჰესი 2-ს მშენებლობა, დასრულდა ელექტროგადამცემი ხაზების „სენაკი 1,2“, ასევე ქვესადგურის „მენჯი-220“ რეაბილიტაცია, დასრულდა ათამდე კოშკის რეაბილიტაცია მესტიაში, დაიწყო ძეგლთა ინვენტარიზაცია, განხორციელდა უშგულის, მულახის, ეცერის, ლატალის, ჰადიშის, იფარისა და ბეჩოს თემში — ძველი სახლების აღწერა და ფოტოფიქსაცია, კლასიკური მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვა სენაკის, ფოთის სამუსიკო სკოლები, საესტრადო მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვა სენაკის, ფოთის კულტურის ცენტრები, კინოჩვენებისათვის საჭირო აპარატურა გადაეცა ფოთს, სენაკსა და მარტვილს, სამხატვრო ინვენტარი გადაეცა სენაკისა და ფოთის სამხატვრო სკოლებს, ზუგდიდის და ფოთის ანიმაციურ სტუდიებს გადაეცა კომპიუტერები და ანიმაციური ფილმების წარმოებისათვის საჭირო ტექნიკა, იგეგმება გოჭკადილის კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

ახლო მომავალში ფოთში მალთაყვის სანაპირო ზოლის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოეწყობა, დასრულდება ზუგდიდსა და ფოთში საფეხბურთო სტადიონების მშენებლობა. მიმდინარეობს ზუგდიდის ცენტრალური წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელის მშენებლობა და ანაკლიის ნაპირდაცვითი ღონისძიებები. ზუგდიდში შენდება ყინულის სახლი. დაიწყო განადგურების პირას მყოფი ისტორიული ძეგლი — სქურის ეკლესიის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს ზემო სვანეთში სოფელ ჩაჟაშის (უშგული) რეაბილიტაცია. დაიწყო სვანეთის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის პროგრამა.

რეგიონში აშენდა და მოეწყო 98 სპორტული მოედანი. ამჟამად ფოთში მიმდინარეობს 7 280 მაყურებელზე გათვლილი ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა. ზუგდიდში იწყება 2 საფეხბურთო მოედნის მშენებლობა. სენაკში აშენდება რაგბის 3 სტადიონი. რეგიონში რეაბილიტირდა 218 სკოლა, 8 პროფესიული სასწავლებელი, აშენდა 9 ახალი და გარემონტდა 220-ზე მეტი საბავშვო ბაღი. მიმდინარეობს 8 ბაღის მშენებლობა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რეაბილიტაცია. 2015 წელს დაგეგმილია 42 სკოლის რეაბილიტაცია, 4 პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია, სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფილია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 201 სკოლის 13 894 მოსწავლე.

ქვემო ქართლის მსგავსად, რთულ რეგიონად ითვლება სამცხე ჯავახეთიც. რეგიონში შესრულებულია 600 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის — განხორციელდა 93 გზის, 14 ხიდის, სასმელი წყლის სისტემების 142 ობიექტის და სარწყავი სისტემების 35 ობიექტის რეაბილიტაცია. გარე განათება მოეწყო 15 ობიექტზე. რეაბილიტაცია ჩაუტარდა საკანალიზაციო სისტემების 4 ობიექტს და სპორტული სტადიონების, საყოფაცხოვრებო, სანიაღვრე-სადრენაჟო, ნაპირსამაგრი და სხვა დანიშნულების 157 ობიექტს. 2015 წელს დაგეგმილია 726 -მდე ინფრასტრუქტურული პროექტი.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რეგიონში გაიხსნა 5 ახალი საწარმო; გადაიარაღდა 33 საწარმო. დასაქმდა 345 ადამიანი და შეიქმნა 94 კოოპერატივი; ფუნქციონირებს მექანიზაციის სერვისცენტრი 70 ერთეული ტექნიკით; ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკისა და წყლის/სურსათის შემოწმების ლაბორატორია; ვაჩიანის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; გაიხსნა სურსათის ეროვნული სააგენტოს რეგიონული ცენტრი. 2013 -2014 წლებში გაიცა 90 562 სასოფლო-სამეურნეო ბარათი. 2015 წელს დაგეგმილია 9 სარწყავი არხის რეაბილიტაცია.

რაც შეეხება განათლების სფეროს, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 60-მდე საჯარო სკოლასა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს; გაზიფიცირდა 40-მდე სკოლა; აშენდა ახალი სკოლა სოფელ ბუღაშენში. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 ბაგა-ბაღს; მიმდინარეობს 30 სკოლის რეაბილიტაცია; სკოლის მშენებლობა სოფელ არალში; ათობით სკოლაში სამედიცინო კაბინეტები მოეწყობა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა რეგიონში ჯანდაცვის მიმართულებით. სამცხე-ჯავახეთს სასწრაფო დახმარების 13 ახალი მანქანა გადაეცა; გაიხსნა 6 ახალი ამბულატორია; საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში დაზღვეულია 101 344 ადამიანი; 82 სოფლის ექიმსა და 141 ექთანს დაფინანსება გაეზარდა. C ჰეპატიტის სამკურნალო პროგრამის ფარგლებში 60%-იანი ფასდაკლებით შეძენილია 223 პეგილირებული ინტერფერონი; გაზრდილ სოციალურ დახმარებას იღებს 3 307 ოჯახი. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 92-მა ოჯახმა მიიღო დახმარება. შშმ პირებისთვის გაიცა 77 ერთეული დამხმარე საშუალება; დიპლომის შემდგომი განათლება ფინანსდება 4 ქალაქში.

სამცხე-ჯავახეთში არაერთი სიახლეა ენერგეტიკის სფეროში — ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟდა 9 897 აბონენტს. გაზიფიცირდა 3 520 აბონენტი. ელექტროფიცირდა 1 უშუქო სოფელი; პირველი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში ბოლო 35 წლის განმავლობაში — ფარავან ჰესი, ექსპლუატაციაში შევიდა; სამუშაოებზე დასაქმდა 1000-ზე მეტი ადამიანი, რომელთა 60% ადგილობრივი მცხოვრებია; ჰესის გახსნის შემდეგ 35 ადამიანი დასაქმდა; აშენდა თურქეთთან დამაკავშირებელი 400-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი და 500/400/220 კილოვოლტიანი ქვესადგური „ახალციხე“.

რეგიონში აქტიურად ახორციელებს პროექტებს დევნილთა სამინისტრო. უწყებამ მენაშენეებისგან 33 ბინა შეისყიდა, რომლებიც დასრულების შემდეგ დევნილებს გადაეცემათ; გარემონტებული ბინები უკვე გადაეცა 18 ოჯახს. ბინა გადაეცემა ახალციხეში — 66 ოჯახს, ბორჯომში — 63 ოჯახს. ბინები დაუკანონდა 50-მდე დევნილ ოჯახს, ხოლო 2015 წელს კიდევ 170-მდე დევნილ ოჯახს დაუკანონდება.

რეგიონში გაიხსნა პრობაციის ბიუროს ახალი ოფისი, პრობაციონერთა სარეგისტრაციო და ინდივიდუალური გასაუბრების ოთახები, ოფიცერთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგის კაბინეტები; დაინერგა ვიდეოპაემნის ტექნოლოგია; მიმდინარეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამები, მათ შორის ქართული ენის შემსწავლელი კურსები.

რაც შეეხება ძალოვანი უწყებების მიერ განხორციელებულ პროექტებს, აღსანიშნავია, რომ 2014 წელს აშენდა შსს-ს სამმართველოს 2 სასაზღვრო სექტორი დამხმარე შენობა-ნაგებობებით — კარწახსა (საქართველო-თურქეთის საზღვარი) და სამებაში, (საქართველო-სომხეთის საზღვარი); ასპინძაში გაიხსნა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამედროვე სტანდარტების შენობა. ახალქალაქში დაიწყო სამხედრო ბაზის მშენებლობა. იუსტიციის სამინისტროს ძალისხმევით, გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრი სოფელ ფოკაში; მოსახლეობა სარგებლობს საჯარო და კერძო სექტორის 200-ზე მეტი სერვისით. 2016 წელს ახალქალაქში იუსტიციის სახლი გაიხსნება.

აგვისტოს ომის დროს ხანძრით გადამწვარი ბორჯომის ტყის აღდგენის მიმართულებით აქტიურად მუშაობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; პროექტ „მწვანე მომავლის“ ფარგლებში სამცხე-ჯავახეთში დაირგო ხის 18 500 ნერგი.

რაც შეეხება კულტურის სფეროს, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, დაიწყო ვარძიის უნიკალური კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის 4-წლიანი პროექტი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 29 კულტურის სახლს. სამხატვრო ინვენტარი სამხატვრო სკოლებს გადაეცათ; კლასიკური მუსიკალური ინსტრუმენტებით აღიჭურვა მუსიკალური სკოლები. საფარის მონასტერთან მისასვლელი გზის აღდგენა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ტოლერანტობის ტური ახალციხეში. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ზარზმის მონასტერთან. აბასთუმნის ურბანული აღდგენა. აბასთუმნის ობსერვატორიის რეაბილიტაცია. აღმოსავლეთ კავკასიაში სამოგზაურო მარშრუტის მოწყობა.

ხერთვისის კომპლექსის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ახალქალაქის ციხე-სიმაგრეში; ახალქალაქის ციხე-სიმაგრის განათების მოწყობა; სოფელ გოგაშენში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და უსაფრთხოების ზომები; ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ვანის ქვაბებისათვის; ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ხიდის რეაბილიტაცია თმოგვის ციხე-სიმაგრისთვის.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიმართულებით — მიმდინარეობს ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე სატესტო მატარებელმა უკვე გაიარა. ლიკანში გაიხსნა „რიქსოს ბორჯომის'' 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო. მშენებლობის დროს ობიექტზე 600-მდე ადგილობრივი მოსახლე დასაქმდა. ბაკურიანში, დიდველზე დამონტაჟდა ხელოვნური გათოვლიანების სისტემა; სათხილამურო სეზონი 5 თვემდე გახანგრძლივდება; დამონტაჟდა სათხილამურო ტრასის ღამის განათება. აშენდა ბავშვთა გასართობი პარკი; მოეწყო 350 ადგილიანი ავტოსადგომი. შეკეთდა საბაგიროს ტიპის „ფუნიკულიორი“, შემუშავდა ერთიანი სააბონემენტო სისტემა გუდაურსა და დიდველზე. ამჟამად მიმდინარეობს გათოვლიანების მეორე ეტაპი, წყლის რეზერვუარების მშენებლობა დიდველსა და გუდაურში და კოხტას საბაგიროს პროექტირება-მშენებლობა; ასევე დაგეგმილია მიტარბის საბაგიროს, ყინულის მოედნის, ბიატლონის ტრასისა და ტობოგანის მშენებლობა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პრემიერის პროექტმა „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ გაამართლა და სწრაფი ტემპებით ვითარდება.

მამუკა კაციტაძე ბიძინა ივანიშვილს მიმართავს

რას გეგმავს პრეზიდენტთან ერთად არასაპარლამენტო ოპოზიცია და შეუერთდება თუ არა მათ მოთხოვნებს „ფორუმი“?

ნინო კომახიძე
599-95-33-16

პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის მიცემული მითითება, საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფი, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება და ამ მოთხოვნით შექმნილ პეტიციაზე ლამის მთელი საქართველოს ხელმოწერა შიდა თუ გარე თემებით ოსტატურად გადაიფარა. ამასობაში, დრო გადის და გამორიცხული არაა, ცოტა ხანში „ოცნებამ“ გვამცნოს, საგაზაფხულო სესიაზე საარჩევნო კოდექსის ცვლილება აღარ ესწრებაო. ამას არასაპარლამენტო ოპოზიციაც მშვენივრად ხვდება და, როგორც ინტერპარტიული ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე აცხადებს, პრეზიდენტთან შეხვედრა და მისთვის კონკრეტული შეთავაზების გაკეთებაც იგეგმება. რას აპირებს ინტერპარტიული ჯგუფი და ვისი მხარდაჭერის იმედი აქვს ოპოზიციას მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან — „ვერსიის“ კითხვებს მამუკა კაციტაძე პასუხობს.

— თავდაპირველად, იმაზე ჩამოვყალიბდით, რომ მაჟორიტარული სისტემა გაუქმდეს და 150-ვე დეპუტატი ერთიანი პროპორციული ანუ პარტიული სიით აირჩეს. ამით 2 მთავარი ნაკლოვანება გასწორდებოდა — ამომრჩევლის ხმათა არათანაბრობა, რადგან დიდ და პატარა ოლქებს თითო წარმომადგენელი ჰყავთ პარლამენტში და მიღებული ხმებისა და მანდატების პროცენტული შეუსაბამობა. დავიწყეთ მუშაობა არასამთავრობო, საეკსპერტო, საერთაშორისო წრეებთან, საპარლამენტო ოპოზიციასთან... მათი პოზიცია ჩვენსას სრულად არ დაემთხვა.

— ერთიან პროპორციულ სისტემაზე ხელისუფლების ასეთი არგუმენტი მსმენია — ამ წესით, მხოლოდ ე.წ. თბილისელების პარლამენტს მივიღებთ, როგორც თავკომბალა პოლიტიკური ცენტრისა, რეგიონული წარმომადგენლობის გარეშეო.

— პროპორციული სისტემა დღევანდელ მაჟორიტარულს რომ სჯობია, ამაზე ყველა შეთანხმებულია, თუმცა, სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ პოლიტიკური ცენტრისა და პარტიებისა თუ, როგორც ამბობენ, თბილისელების მიერ დაკომპლექტებული პარლამენტი არ მიგვეღო, ეს მოსაზრება გავითვალისწინეთ და ინტერპარტიული ჯგუფი საბოლოო ვარიანტზე შეჯერდა — არჩევნები შერეული ანუ პროპორციული და რეგიონულ-პროპორციული წესით უნდა ჩატარდეს. ეს ვერსია უკვე ყველასთვის მისაღები გახდა და სწორედ ამ შეთავაზების საფუძველზე მომზადდა სამოქალაქო თანხმობის მემორანდუმი, რომელსაც ხელი 14-მა პარტიამ, 15-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, საელჩოების წარმომადგენლებმა, პრეზიდენტმა, საპარლამენტო ოპოზიციამ და პარლამენტის თავმჯდომარემ მოაწერეს. ჩვენი მოთხოვნა პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლისასაც გააჟღერა.

— და რა მიიღეთ შედეგად — „ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ცვლილებები არ ესწრება?!

— ახლა ერთ მხარეს ჩვენ ვართ, მეორე მხარეს — კოალიცია, თუმცა „ოცნებაში“ ერთსულოვნება არაა. ამის შესახებ ხმამაღლა ისაუბრეს რესპუბლიკელებმა, მეტსაც გეტყვით — ეროვნული ფორუმის ფრაქციის თავმჯდომარის გამოსვლაში დავიჭირე მომენტი, რომ ცვლილებების წინააღმდეგი არც „ფორუმია“.

— მათ ხელი მემორანდუმზე არ მოგიწერეს. მაინც ფიქრობთ, რომ კოალიციიდან ფორუმიც მოდის ამ ცვლილებებზე?

— ხელი არ აქვთ მოწერილი, თუმცა ასე, ხელი არც რესპუბლიკურ პარტიას მოუწერია, პიროვნულად, უსუფაშვილი შემოგვიერთდა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, თუმცა არც სხვა სუბიექტებს აქვთ შეუვალი პოზიცია. სხვები დუმილს ამჯობინებენ და გასაგებია, რა ხრიკებიც აქვთ ჩაფიქრებული — სურთ, საგაზაფხულო სესია ისე გავიდეს, საკითხის ინიცირება არ მოესწროს. მერე ინიცირება არც საშემოდგომო სესიაზე მოხდება და ძველი სისტემა დარჩება, დღევანდელი ხელისუფლება კი მაჟორიტარული სისტემის „ხმების ბეღელს“ კიდევ ერთხელ გამოიყენებს, როგორც უკვე მოხდა, როცა „ოცნების“ უმრავლესობა დაშლას 12-მა ექსნაციონალმა მაჟორიტარმა გადაარჩინა. მაჟორიტარობა იმას არ ნიშნავს, პოლიტიკა ცალკე მიდიოდეს და შენ შენს ბიზნესს ლობირებდე. მაჟორიტარებს, რეალურად, საკუთარი ბიზნესის ლობირება აინტერესებთ. ისინი 4 წელიწადში ერთხელ სერიოზულ ფულს ხარჯავენ და მერე, მომდევნო 4 წელი საკუთარ ბიზნესს „კრიშავენ“, რაშიც ხელისუფლება ეხმარება; ამიტომ ახლა, უახლოეს დღეებში ქმედით ნაბიჯებსაც გადავდგამთ, შევხვდებით კოალიცია „ოცნების“ სუბიექტებს. ვიცი, კაჭრეთის „ამბასადორში“ პარტია „ოცნებამ“ ამ საკითხებზე იმსჯელა; ისიც ვიცი, რომ ასეთი საუბრები რესპუბლიკელებში, კონსერვატორებში, ფორუმსა და მრეწველებშიც გაიმართა და მათი მოსაზრება მაინტერესებს; ამას გარდა, მინდა, მაჟორიტართა ფრაქციებსაც შევხვდე. ერთ-ერთმა მაჟორიტარმა აღნიშნა, ოპოზიციას კონკურენციის ეშინია და მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ამიტომ ითხოვსო. მაინტერესებს, ფულის ტომრებით რომ მოდიან არჩევნების დღეს და მერე, 4 წელი პირში წყალჩაგუბებულები სხედან, ესაა კონკურენცია?!

— თუმცა ინტერპარტიული ჯგუფის ერთ-ერთმა ლიდერმა ჩემთან ინტერვიუში თქვა, ვაპირებთ, 2016 წლის არჩევნებიც დავთმოთ გარანტიით, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ნამდვილად შეცვლილი სისტემით ჩატარდებაო. ამ დათმობაზე რატომ მიდიხართ?

— ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება! შეიძლება, ვიღაცამ გულში რაღაც გაიფიქრა ან თავში აზრად მოუვიდა, მაგრამ მსგავსი საკითხი მსჯელობის საგანიც კი არ ყოფილა, არათუ ამაზე გადაწყვეტილება მიგვეღო. საერთოდ, ეს იდეა საღ აზრსაა მოკლებული.

— 2016 წლისთვის რაღას ცვლით, არც პრემიერს შეხვედრიხართ, არც ივანიშვილს, რომელმაც თქვა, ჩემი მოსაზრება მაქვს, როგორი უნდა იყოს საარჩევნო სისტემაო. ან მისი მოსაზრების შესახებ თუ იცით?

— ამირან გულში მღეროდაო, ასეა მისი საქმე. არ ვიცი, რა იდეა აქვს, იქნებ, ჩვენსას ემთხვევა. ოფიციალური წერილით მხოლოდ პრემიერს მივმართეთ, რადგან მასთან კომუნიკაციის სხვა ფორმებმა, პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარისგან განსხვავებით, არ გაჭრა. თუმცა შედეგი არც ოფიციალურ წერილს გამოუღია. რაც შეეხება ივანიშვილსა და მის „მოქალაქეს“, რომელიც ხალხში „ჭარბი ნდობით“ სარგებლობს, ბუნებრივია, მისი გავლენა ხელისუფლებასა და პარტია „ოცნებაზე“ განსაკუთრებულია.

— განსაკუთრებული თუ გადამწყვეტი?

— ალბათ, გადამწყვეტიც... ამიტომ ცხადია, მისი პოზიცია საინტერესო იქნება. თუ სურს, ამ საკითხზე ვიმსჯელოთ, მზად ვართ და არც ბიუტიაობას დავიწყებთ.

— მისგან მოწვევას აქეთ ელით?

— ყველასთვის ცნობილია, რომ ეს საკითხი ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსის საგანია. ბევრმა აქეთ გამოთქვა შეხვედრის ინიციატივა... თუ ვინმეს ქედმაღლობის პრობლემა აქვს, მაშინ ამ ინტერვიუს გამოვიყენებ და ივანიშვილს მივმართავ — გვსურს მასთან შეხვედრა და თუ ეს მასაც სურს, ამ ინტერვიუს წაკითხვის მერე, კომუნიკაცია არ გაუჭირდება. თუმცა მგონია, რომ, რაკი ხელისუფლება დუმს, ე.ი. ჩამოყალიბებული პოზიცია არც მას აქვს. არ გამოვრიცხავ, ისიც პროცესის გაწელვისა და კოსმეტიკური ცვლილებებისკენ იხრებოდეს. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებას ერთთვიანი საერთო-სახალხო განხილვა სჭირდება, მერე პარლამენტში შევა ინიციატივა და საკონსტიტუციო უმრავლესობაც არსებობს, რადგან მემორანდუმზე ხელი საპარლამენტო ოპოზიციამ მოგვიწერა, რაც უკვე 60-მდე კაცია. ეს ყველაფერი საგაზაფხულო სესიაზეც შეიძლება მოესწროს, ასევე შესაძლებელია, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების დროც გამოვიყენოთ. მთავარი პოლიტიკური ნებაა. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ ვაპირებთ პრეზიდენტთან შეხვედრას. გვაინტერესებს, რას ფიქრობს სამომავლოდ და გვაქვს შეთავაზება, გავაკეთოთ რაღაც დიდი, საერთო ღონისძიება.

— აქციებს გეგმავთ პრეზიდენტთან ერთად?

— არა, ეს არ იქნება აქცია. ჯერჯერობით, ეს იდეა ძალიან ნედლია. გარდა პოლიტიკური აქტივობისა, საჭიროა ამომრჩევლის აქტივობა და საერთაშორისო საზოგადოების მობილიზება. არსებობს იდეა, მთელ რიგ ღონისძიებებში პრეზიდენტიც ჩაერთოს. უფრო კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს თემა ინტერპარტიულ ჯგუფშიც იდეის დონეზეა და თან, არ მინდა, ამის შესახებ პრეზიდენტმა პრესის ფურცლებიდან შეიტყოს. საპროტესტო აქციები გამოსავალი არაა. როცა ქვეყანაში ვალუტის კურსი დაცემულია და მძიმე სოციალურ-კრიმონოგენური ვითარებაა, გამოხვიდე და ხალხს საარჩევნო სისტემის შეცვლაზე ელაპარაკო, რთულია. არადა, ყველა პრობლემა სწორედ პარლამენტის მახინჯად დაკომპლექტებისა და უპოზიციო, მდუმარე დეპუტატების ბრალია.

— დავუშვათ, შეიცვალა საარჩევნო სისტემა. ოპოზიცია რას მიიღებს არათანაბარი დაფინანსებისა და საეთერო დროის პირობებში?

— ამასწინ, ერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა თქვა, ამ ცვლილებებით თქვენ რაო? ხალხის ნაწილს მიაჩნია, რომ პირადი ხეირი თუ არ ნახა, ნურაფერი შეცვლილა ამ ქვეყანაში. მთავარია, კანონი იყოს სამართლიანი, თორემ 2 წლის მერე ვის რა ელის, ამას პოლიტიკური ცხოვრება განსაზღვრავს. 3-4 წლის წინ სრულიად უიმედო მდგომარეობაში მყოფი პარტიები დღეს ხელისუფლებაში არიან. აბსოლუტურად უპერსპექტივო, ექსპერტის სტატუსის მქონე ტიპები, დღეს ხელისუფლებაში ამინდს ქმნიან. თანაც მგონია, კოალიციაში ცვლილებები ისევ იქნება, ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრიც გადაჯგუფდება და ვიღაცებისთვის ახალი პერსპექტივებიც გაჩნდება. მესმის, ჩემი ჩათვლით, ყველას უნდა პერსპექტივის ქონა, მაგრამ ყველა პარლამენტში ვერ მოხვდება!

თიბისი ბანკმა ახალი გათამაშება დაიწყო

სწრაფი გადახდის აპარატების მომხმარებლებს შორის 5 000 გამარჯვებული გამოვლინდება

15 აპრილიდან, ნებისმიერი ადამიანი, რომელიც თიბისი ბანკის სწრაფი გადახდის აპარატებზე რაიმე სახის ტრანზაქციას შეასრულებს, შესაძლოა, მოულოდნელად, დასაჩუქრდეს კიდეც. გამარჯვებულების რაოდენობის მიხედვით, თიბისი ბანკის ახალი გათამაშება ყველაზე მასშტაბური იქნება, სადაც საბოლოოდ 5 000 გამარჯვებული გამოვლინდება!

თიბისი PAY-ს დირექტორის, **დავით კენჭაძის** განცხადებით, გათამაშება, რომელიც 15 აპრილს დაიწყო, 30 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება. ამ ხნის მანძილზე, ნებისმიერ მომხმარებელს, რომელიც თიბისი ბანკის სწრაფი გადახდის ტერმინალით ისარგებლებს, შანსი ეძლევა, მომენტალურ გათამაშებაში ჩაერთოს და მოიგოს 20 000, 10 000 ან 5 000 ლარი, სხვადასხვა ფულადი პრიზი და მობილურ ტელეფონზე სასაუბრო დრო — 30 წუთი: **„გამარჯვებული მომხმარებლები ანგარიშსწორებისთანავე შეიტყობენ, იყო თუ არა მათი ტრანზაქცია იღბლიანი. იმისათვის, რომ გათამაშებაში ჩაერთოთ, საჭიროა სწრაფი გადახდის აპარატებით ისარგებლოთ. აუცილებელია დარეგისტრირდეთ და თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი მიუთითოთ, შეტყობინებას, იყო თუ არა თქვენი ტრანზაქცია იღბლიანი, სწორედ მობილურ ტელეფონზე მიიღებთ“.**

დავით კენჭაძის განცხადებით, მასშტაბური და ინოვაციური გათამაშება არ არის ის ერთადერთი სიახლე, რასაც თიბისი ბანკი სწრაფი გადახდის აპარატების მომხმარებლებს სთავაზობს. მისი თქმით, თიბისი ბანკი, სწრაფი გადახდის აპარატების ყველაზე დიდ ქსელს ფლობს საქართველოში: **„ბოლო პერიოდში, ბანკმა გააორმაგა აპარატების რაოდენობა და დღეისთვის, საქართველოს მასშტაბით, უკვე 2 600 აპარატი ფუნქციონირებს. გარდა ამისა, გაუმჯობესდა ტერმინალების სისწრაფე, დაიხვეწა მენიუს დიზაინი, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებლები უფრო მარტივად შეასრულებენ ამა თუ იმ ტრანზაქციას. უახლოეს მომავალში, სწრაფი გადახდის აპარატების საშუალებით, სხვადასხვა სახის გადახდები განხორციელდება არა მარტო ეროვნულ ვალუტაში, არამედ დოლარსა და ევროშიც. მეტიც, ოპერაციების განხორციელებას პლასტიკური ბარათების საშუალებითაც შეძლებთ“.**

როგორც დავით კენჭაძემ აღნიშნა, სწრაფი გადახდის აპარატების ქსელის გაფართოებასა და მომსახურების გაუმჯობესებაში, თიბისი ბანკმა 12 600 000 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

„იჩქარეთ, ისარგებლეთ სწრაფი გადახდის აპარატების ყველაზე დიდი და კომფორტული ქსელით და გახდით ერთ-ერთი გამარჯვებული, ხუთი ათას იღბლიან მომხმარებელს შორის! აქ გადახდა მომგებიანია!“, — ასეთია თიბისი ბანკის ახალი გათამაშების სლოგანები.

მაია მიშელაძე

„ერთად განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა!“

ᲔᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, დაიწყო პროექტი „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“. პროექტის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრმა უკვე მეხუთე შეხვედრა გამართა. 15 აპრილს, ირაკლი ღარიბაშვილი კახეთის რეგიონს ესტუმრა. „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“, საქართველოს რეგიონების სტრატეგიულ და ეკონომიკურ განვითარებას გულისხმობს. მთავრობის ხელშეწყობით, პროექტი შეჩერებული და მიტოვებული საწარმოების აღდგენა-ამუშავებას, ასევე რეგიონების მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს.

სეტყვის საწინააღმდეგო რადარით ზარალი შემცირდება!

კახეთის რეგიონში ვიზიტის დროს, ირაკლი ღარიბაშვილმა იმ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც რეგიონში 2 წლის განმავლობაში განხორციელდა. 2013 წელს, კახეთის რეგიონში, 10 მილიონი დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჩაიდო, 2014 წელს – 10.5 მილიონი დოლარი. პრემიერის განცხადებით, ინვესტიციები ძირითადად ენერგეტიკაში, მშენებლობაში, უძრავ ქონებაში, ვაჭრობაში, განათლებაში, კომუნალურ მომსახურებაში, სასტუმროებსა და რესტორნებში განხორციელდა.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, კახეთის რეგიონში, 10 122 სესხი გაიცა, რომელთა საერთო ღირებულება 443 მილიო ლარზე მეტია. ამ პროექტით 34 ახალი საწარმო დაფინანსდა, რისთვისაც 21 მილიონი ლარის სესხი გაიცა. გადაიარაღდა 267 საწარმო, რომლებსაც 53 680 000 ლარი გადასცეს. პროგრამის ,,აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, კახეთში სოფლის მეურნეობის მიმართულებით, კიდევ ერთი საწარმო დაფინანსდა, რისთვისაც 1 340 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი გაიცა. საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, 2013-2014 წლებში, 209 829 ბენეფიციარმა, სასოფლო-სამეურნეო საქონლის 43 მილიონ ლარზე მეტი სარგებელი და მიწის სამუშაოების სახით, 6 მილიონი ლარის სარგებელი მიიღო. ამ პროექტის ფარგლებში, კახეთში 88 ჰექტარზე მეტი მიწა მოიხნა: **„2015 წელს, ამავე პროექტის ფარგლებში, 99 591 ბენეფიციარისთვის 9.5 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სარგებელია გამოყოფილი. ამ ეტაპზე, კახეთის რეგიონში 10 662 ჰექტარი მიწაა მოხნული. პირველად საქართველოში, აგროდაზღვევის პროექტი ამუშავდა. დავპირდით ხალხს ხელისუფლებაში მოსვლამდე და დანაპირები შევასრულეთ. მარტო კახეთში, წელს 4 056 პოლისი გაიცა და დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ 86 მილიონზე მეტი შეადგენა“.**

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა 50 მილიონი დოლარი უნდა გამოყოს, საიდანაც მარტო კახეთის რეგიონის ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, დაახლოებით, 10 მილიონი ლარი მოხმარდება. კახეთის რეგიონში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი 58 კოოპერატივს აქვს მინიჭებული, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია მემარცვლეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა: **„ჩვენმა მთავრობამ მევენახეობა-მეღვინეობის ხელშეწყობა ეროვნული მნიშვნელობის საქმედ გამოაცხადა. სუბსიდირებისა და აგროსესხების თვისებრივად განსხვავებული სისტემის გატარებით, მთავრობამ კერძო სექტორის სტიმულირება განახორციელა. ჩვენი მიზანი იყო, მევენახეებს რაც შეიძლება მეტი ყურძენი მიეღოთ და გადაემუშავებინათ. 2013 წელს, სახელმწიფო სუბსიდია 32.5 მილიონი ლარი იყო, 2014 წელს — 31 მილიონ ლარზე მეტი. შეღავათიანი აგროკრედიტების ფარგლებში, 22 მილიონი დოლარი გაიცა, რამაც ღვინის ინდუსტრიაში 56 კომპანიას ტექნიკური გადაიარაღებისა და საწარმოო სიმძლავრეების გაზრდის შესაძლებლობა მისცა. შედეგად მივიღეთ ის, რომ მევენახეებმა ყურძენი მაქსიმალურად მაღალ ფასად ჩააბარეს. 2013 წელს, რქაწითელის საშუალო ფასი იყო 1.05 ლარი, ხოლო რეკორდულად მაღალი ფასი იყო 1.35 ლარი. საფერავის საშუალო ფასმა შეადგინა 1.24 ლარი, დაფიქსირდა რეკორდულად მაღალი ფასიც — 2.10 ლარი. 2014 წელს, რქაწითელის საშუალო ფასი 1.05 ლარი იყო, რეკორდულად მაღალი ფასი კი — 1.50 ლარი. საფერავის საშუალო ფასი 2.35 ლარი, ხოლო რეკორდულად მაღალი ფასი — 3.40 ლარი იყო. 2013-2014 წლებში, კახეთში ღვინის კომპანიებმა, ბოლო 20 წლის განმავლობაში, რეკორდული რაოდენობის ყურძენი გადაამუშავეს. 2013 წელს, რთვლის დროს, მოსახლეობის შემოსავლებმა 100 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, 2014 წელს კი – 175 მილიონზე მეტი. ჯამში, კახეთის რეგიონში, მხოლოდ რთველზე, მოსახლეობამ 275 მილიონ ლარამდე შემოსავალი მიიღო! მთავრობის ამ პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ კახელმა კაცმა თავისი ისტორიული მისია დაიბრუნა და შედეგიც სახეზეა — 2014 წელს, კახეთში 3 000 ჰექტარი საფერავისა და რქაწითელის ვენახები გაშენდა. სწორედ ეს იყო ჩვენი მიზანი“.**

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, დღეს კახეთში სხვადასხვა რაიონის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პრემიერის განცხადებით, კახეთის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობა ხარისხიან სასმელ წყალს 24 საათი მიიღებს. მთავრობა რეგიონში მდინარეთა ნაპირსამაგრ სამუშაოებს აქტიურად ახორციელებს. ამ პროექტებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა თავიდან ავიცილოთ უზარმაზარი ზარალი, რომელიც წყალდიდობას მოაქვს მოსახლეობისათვის. რაც შეეხება გზებს, 2013-2014 წლებში, რეგიონში დასრულდა 77 კმ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, 2015 წელს, მინიმუმ, კიდევ 17 კილომეტრი გზის რეაბილიტაციაა დაგეგმილი. წლების განმავლობაში, კახეთის ბევრ სოფელს ბუნებრივი აირი არ მიეწოდებოდა. 2013-2014 წლებში, რეგიონში ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა 20 300 ოჯახს მიეცა. მთავრობა ახორციელებს პროექტს — „სინათლე ყველა სოფელს“, რომლის საშუალებით, დღეს ელექტროენერგია მიეწოდება სოფელ ჭერემს. კახეთში ამუშავდა „ახმეტა-ჰესი“, რომლის საინვესტიციო ღირებულება თითქმის 10 მილიონი დოლარია. მნიშვნელოვანია, რომ სადგურზე დასაქმებულთა უმრავლესობა ადგილობრივია. მალე ექსპლოატაციაში შევა ფშაველა-ჰესი, რომლის საინვესტიციო ღირებულება 2 მილიონი დოლარია.

რაც შეეხება განათლებას, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, 2012-2014 წლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 143 სკოლას, გურჯაანში რეაბილიტირებულია 1 პროფესიული სასწავლებელი. სრულდება ლამბალოს სკოლის მშენებლობა. წელს დაგეგმილია 49 სკოლისა და 3 პროფესიული სასწავლებლის რეაბილიტაცია. მისი თქმით, მთავრობამ სასაზღვრო პოლიციის 4 ახალი შენობა, ევროპული სტანდარტებით ააშენა.

მთავრობის ეკონომიკურმა საბჭომ კახეთის რეგიონის ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალი, ადამიანური რესურსები შეისწავლა. ხელისუფლებას უკვე აქვს დეტალური სურათი, რა არის საჭირო კახეთის განვითარებისთვის. ღარიბაშვილის განცხადებით, რეგიონს აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: კომბინირებული საკვების დამზადება, რძის, ხორცის, ხილ-ბოსტნეულის წარმოება, მეფუტკრეობა, სასათბურე მეურნეობა, საკალმახე წარმოება, მეთევზეობა, თევზის გადამამუშავებელი წარმოება, სამაცივრე მეურნეობის განვითარება, მატყლის დამუშავება, ღვინის წარმოება. ლაგოდეხის რაიონს თამბაქოს პირველადი გადამუშავებისა და აბრეშუმის წარმოების განვითარების რესურსი აქვს; ახმეტას ტყავის გადამამუშავებელი წარმოების განვითარების, ხე-ტყის დამუშავების, პარკეტის, ავეჯის წარმოების რესურსი; საგარეჯოს უნიკალური რესურსი გააჩნია, ესაა მინერალური-სამკურნალო წყალი; გურჯაანს — აგურის, რკინა-ბეტონის წარმოების რესურსი, რაიონში თიხის დიდი მარაგიცაა; დედოფლისწყაროში არის სპირტის, ლუდის წარმოების, ასევე, ცემენტის წარმოების, ტყავის გადამუშავების რესურსი, მეფრინველეობის განვითარების პერსპექტივა; თელავს ფიქალ-მარმარილოს გადამუშავების რესურსი აქვს; ლაგოდეხს — რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამამზადებელი წარმოების განვითარების პერსპექტივა; საგარეჯოს — მატყლის დამუშავებისა და გაჯის წარმოების რესურსი; სიღნაღს — სამკერვალო წარმოებისა და ხორბლის გადამუშავების (წისქვილკომბინატი) რესურსი; ყვარელს — სამშენებლო აგურის, კერამიკული ნაკეთობების წარმოების, მარმარილოს გადამუშავების, მაღალი ხარისხის ინერტული მასალების რესურსი: **„ჩვენ რეალური საფუძველი გვაქვს, კახეთში საინტერესო ბიზნესპროექტები განხორციელდეს. დღეს, რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო პროექტების ჯამური ღირებულება 224 მილიონი ლარია. ინვესტიციები ჩაიდო თელავში, საგარეჯოში, სიღნაღში, ყვარელსა და ახმეტაში სასტუმროების მშენებლობის, ღვინის წარმოების, ნავთობის მოპოვების მიმართულებით. ჩვენი მთავრობის პოლიტიკამ, ბიზნესის ხელშეწყობამ, თანამიმდევრულმა ნაბიჯებმა, რეგიონში ინვესტიციების ზრდის ტენდენცია განაპირობა. მოვუწოდებ ბიზნესმენებს, დაინტერესდნენ ამ შესანიშნავი მხარით და საინტერესო ბიზნესპროექტები აქ განახორციელონ. ერთად უნდა განვავითაროთ და გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა. ამ საქმეში თქვენი მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია! ბიზნესს ჩვენგან ექნება სრული მხარდაჭერა. იცოდეთ, რომ მთავრობა და ადგილობრივი ხელისუფლება გვერდში დაგიდგებათ. სახელმწიფოს მხარდაჭერა მეწარმეების თანადაფინანსებაში, ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაში, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფაში, ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფაში, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ადმინისტრაციულ მხარდაჭერაში გამოიხატება. იმედი მაქვს, თქვენს წვლილს შეიტანთ რეგიონების გაძლიერებაში და ამ დიდი საქმის აქტიური მონაწილეები გახდებით. მჯერა, ერთად გავაძლიერებთ რეგიონებსა და საქართველოს!“**

კახეთში განხორციელებული პროექტების შეჯამების შემდეგ, ყურადღება დაეთმო სოფელ ნუკრიანში, სეტყვის საწინააღმდეგო რადარის სისტემის მშენებლობას. წლების განმავლობაში, კახეთი უამინდობის გამო ზარალდებოდა, გლეხს კი მთელი წლის შრომა წყალში ეყრებოდა. საქართველოს მთავრობამ ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრა გადაწყვიტა და სსიპ „დელტას“ საშუალებით — იმ პროექტის განხორციელება დაიწყო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში, სეტყვისგან მიყენებულ ზარალს 85-95%-ით შეამცირებს: **„ვაშენებთ სეტყვის საწინააღმდეგო ავტომატიზებულ სისტემას, რომლის ღირებულება 15 მილიონ ლარამდეა (14 736 832 ლარი). მისასალმებელია, რომ სსიპ „დელტა“, ამ უაღრესად საჭირო და აუცილებელ პროექტს ახორციელებს. პროექტის ძირითადი ნაწილი უკვე შესრულებულია. აქ, ნუკრიანში, ჭოტორის მთაზე, უკვე დასრულდა რადარის მშენებლობა. ამ რადარით იმართება ყველა, 85-ვე საცეცხლე წერტილი. გაკეთებულია მისასვლელი გზაც. ამ პროექტის წარმატებით დასრულებას ველოდებით და იმედია, პროექტის განხორციელების შემდეგ, ფერმერებს, გლეხებს, კახეთის მთელ რეგიონს, მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდება ზარალი, რომელსაც სეტყვა იწვევს“.**

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ეს პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რადგან მთავრობა შეძლებს, მაქსიმალურად გაუმკლავდეს იმ რისკებს, რაც სეტყვასთანაა დაკავშირებული. სარადარე სისტემა, რომელსაც სსიპ „დელტა“ სოფელ ნუკრიანში აშენებს, სხვადასხვა კომპონენტისაგან შემდგარი ერთიანი კომპლექსია. მასში შედის ცენტრალური სარადარე სადგური (მეტეორადარი), ინფორმაციის დამუშავებისა და ცეცხლის მართვის ცენტრი და ავტონომიური საცეცხლე სარაკეტო დანადგარი.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐᲜᲘᲣᲡᲘ

მარტში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების საზღვარზე შემოტანის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის სახელმწიფო კომისიის რიგით მეთერთმეტე შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე დადებითად შეფასდა სახელმწიფოს მიერ გატარებული კომპლექსური ანტინარკოტიკული პოლიტიკა. კიდევ ერთხელ აქცენტი გაკეთდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების კლების ტენდენციაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შეხვედრაზე წარმოდგენილი სტატისტიკის თანახმად, მარტში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების საზღვარზე შემოტანის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

სახელმწიფო კომისია ახორციელებს მონიტორინგს ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და ამ კუთხით არსებულ გამოწვევებზე, ასევე უზრუნველყოფს შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულებას. სახელმწიფო კომისია ეფექტური მონიტორინგისა და ინფორმაციის სისტემატური გაცვლის მიზნით ყოველთვიურად იკრიბება.

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„აი სი ჯგუფისა“ და „ადითის“ სასამართლო დავის გაუხმაურებელი დეტალები

რატომ ითხოვს სადაზღვევო კომპანიის ადვოკატი მოსამართლის აცილებას

სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფსა“ და შპს „ადითს“ შორის სასამართლო დავა გრძელდება. მოსამართლის აცილების შესახებ სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებმა სასამართლოს შუამდგომლობით კიდევ ერთხელ მიმართეს. პროცესი, რომელიც ოთხშაბათს, 15 აპრილს უნდა გამართულიყო, 22 აპრილამდე გადაიდო. ორ კომპანიას შორის დავა, სამედიცინო ხარჯების ანაზღაურებას ეხება. „აი სი ჯგუფის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გაწეულ სამედიცინო ხარჯს შპს „ადითი“ ხელოვნურად ზრდიდა, რაც სადაზღვევო კომპანიის ინსპექტირების ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა.

„აი სი ჯგუფის“ ადვოკატი

„აი სი ჯგუფის“ ადვოკატის, **გოჩა სვანიძის** განცხადებით, სადაზღვევო კომპანიის ინსპექტირების ჯგუფმა, სპეციალური ინსპექტირების შედეგად, მთელი რიგი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მოიპოვა, რაც ადასტურებს, რომ „ადითის“ წარმომადგენლები სამედიცინო დოკუმენტაციას აყალბებდნენ. **გოჩა სვანიძე:**

„გვაქვს მასალები, რომლებიც სამუშაოს მოცულობის ზრდას ადასტურებს. მას შემდეგ, რაც ამ პროცესში ჩავერთეთ, ბევრი უცნაურობა ვნახეთ. ორ კომპანიას შორის ერთი შეხედვით უწყინარი, სამეწარმეო დავა, „ადითის“ წარმომადგენლებმა იმგვარად გამოიყენეს, აშკარად სხვა მიზნებიც იკვეთება. საწყის სტადიაში, მხარემ სასამართლოსგან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მოითხოვა და პირობითად, 700-ათასიანი დავა, 7 მილიონამდე გაზარდა, რადგან 7 მილიონიან მოთხოვნას გაცილებით მეტი უზრუნველყოფა სჭირდება. სასამართლომ ეს უზრუნველყოფა იმგვარად გამოიყენა, რომ დააყადაღა არა მხოლოდ მოპასუხის, ანუ „აი სი ჯგუფის“ საკუთრებაში არსებული ქონება, რისი უფლებაც მას გააჩნდა, არამედ მოპასუხის შვილობილი კომპანიების საკუთრებაში არსებული ქონებაც. სააპელაციო სასამართლომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ყადაღისგან გაათავისუფლა ის ქონება, რომელიც „აისი ჯგუფს“ არ ეკუთვნოდა. ამის შემდეგ მოსამართლის აცილების შუამდგომლობა დავაყენეთ, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა“.

„აი სი ჯგუფის“ წარმომადგენლებმა გაარკვიეს, რომ „ადითის“ ყოფილი ადვოკატი დავით ასათიანი და მოსამართლე სულაკაძე კლასელები იყვნენ. „აი სი ჯგუფის“ ადვოკატი გოჩა სვანიძე სწორედ ამ მოსამართლის აცილებას ითხოვს. გარდა ამისა, დავის პერიოდში, სადაზღვევო კომპანიამ შესთავაზა „ადითს“, რომ სამედიცინო პერსონალის ხელფასს გაისტუმრებდა. დავა თვეებია მიმდინარეობს და არავინ იცის, როდის დასრულდება, არადა ექიმებს კუთვნილი ანაზღაურება არ მიუღიათ.

„აი სი ჯგუფი“ არ უარყოფს, რომ „ადითის“ მიმართ ფინანსური დავალიანება აქვს. მეტიც, კომპანია მზადაა, ის ვალი გაისტუმროს, რაც „ადითს“ მედპერსონალის მიმართ დაუგროვდა. „აი სი ჯგუფის“ წარმომადგენლები შპს „ადითისგან“ ითხოვენ, მათ მიერ ექიმებისთვის გადახდილი თანხა, საერთო დავალიანებიდან გამოიქვითოს, რაზეც ებრაული კომპანია ჯიუტად ამბობს უარს.

პრესკონფერენციას, რომელიც „აისი ჯგუფის“ წარმომადგენლებმა ჩაატარეს, ქარელის რაიონის საავადმყოფოს ხელმძღვანელი **ზაქარია მეყანწიშვილი** ესწრებოდა. ქარელის რაიონის საავადმყოფო ერთ-ერთი იყო, რომელსაც „ადითი“ ორწლიწადნახევრის განმავლობაში ფლობდა: **„აისი ჯგუფის“ წარმომადგენლებმა შემოგვთავაზეს, რომ ჩვენი საავადმყოფოს მედპერსონალის დავალიანებას დაფარავდნენ. დავალიანება, რომელიც დაახლოებით 300 ათასი ლარია, შპს „ადითს“, ჩვენ მიმართ, 8 თვის მანძილზე ჰქონდა — 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე დაგროვდა. ამ ხნის განმავლობაში, ხელფასი არ მიგვიღია. დავალიანების დაფარვას „აი სი ჯგუფი“ იმ შემთხვევაში გვპირდებოდა, თუ „ადითი“ ამ თანხას საერთო დავალიანებიდან გამოუქვითავდა. გვიკვირს, რატომ არ დათანხმდა „ადითი“. ვფიქრობ, „ადითს“ სახელმწიფომ იმიტომ ჩამოართვა საავადმყოფოები, რომ იმ პერიოდში ის ვალდებულებები არ განახორციელა, რაც საავადმყოფოების რეაბილიტაციას გულისხმობდა“.**

ზაქარია მეყანწიშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ „ადითის“ წინააღმდეგ, დავალიანების გასტუმრების მოთხოვნით, ქარელის რაიონის საავადმყოფოს მედპერსონალს სასამართლო დავა უკვე ჰქონდა, რომელიც შეთანხმებით დასრულდა — „ადითი“ ექიმებს დაპირდა, რომ დავალიანებას იმ შემთხვევაში გადაიხდიდა, თუ მესამე პირისგან ანუ „აი სი ჯგუფისგან“ მიიღებდა თანხას.

„აი სი ჯგუფის“ გაკოტრების სქემა

„აი სი ჯგუფის“ ადვოკატის განცხადებით, შპს „ადითი“ სადაზღვევო კომპანიისგან ყოვლად დაუსაბუთებლად ითხოვს რამდენიმე მილიონი ლარის ანაზღაურებას. **გოჩა სვანიძის** თქმით, დავალიანება იმ საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობას უკავშირდება, რომელიც საერთოდ არ წარმოადგენდა „ადითის“ ვალდებულებას: **„კერძოდ, სამედიცინო მომსახურების მომწოდებელია შპს „ადითი“, ხოლო სახელმწიფოს წინაშე საინვესტიციო ვალდებულებები, რომლის შეუსრულებლობასაც „ადითი“ „აი სი ჯგუფის“ მიერ სამედიცინო მომსახურების თანხების აუნაზღაურებლობას უკავშირებს, შპს „ჰოსპიტლების ოპერირების საერთაშორისო საწარმოს“ ეკისრებოდა. „ჰოსპიტლების ოპერირების საერთაშორისო საწარმოს“, საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებისთვის, საკუთრებაში გადაეცა შპს „ჯანმრთელობა 2010“-ის (მანამდე მისი სახელწოდება იყო შპს „ადითი“, ახლა კი შპს „რეგიონული ჰოსპიტალი“) 100%-იანი წილი. საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №1/1-720-ით, ცალმხრივად მოიშალა ხელშეკრულება და წილი დაუბრუნდა სახელმწიფოს. შესაბამისად, საინვესტიციო ვალდებულებებთან შპს „ადითს“, როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელს, კავშირი არ ჰქონია“.**

გოჩა სვანიძის თქმით, ამის მიუხედავად, სასამართლომ უხეში „შეცდომა“ დაუშვა და უზრუნველყოფის საშუალებად „აი სი ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების ქონება გამოიყენა, რომლებსაც „ადითთან“ არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდა. შესაბამისად, ადვოკატი აცხადებს, რომ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უკანონო იყო და მოთხოვნის შესრულების მიზნებს არ ემსახურებოდა. ეს დაადასტურა თბილისის სააპელაციო სასამართლომ და დაადგინა, რომ „აი სი ჯგუფის“ ფინანსური მდგომარეობის (მყარი ფინანსური ინსტიტუტი) გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ის ღონისძიება კი არ გამოიყენა, რომელიც სარჩელს უზრუნველყოფდა, არამედ მნიშვნელოვნად შეამცირა გამოყენებული უზრუნველყოფის საშუალების ფორმაცა და მოცულობაც: **„საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ბატონმა სულაკაძემ, თავიდანვე მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით, სრული ნონსენსი იყო. მან „ადითის“ მოთხოვნით, ყადაღა დაადო არა მხოლოდ „აი სი ჯგუფის“ ქონებას, არამედ „აი სი ჯგუფის“ მონაწილეობით შექმნილი ყველა შვილობილი კომპანიის ქონებასაც. ამის შემდეგ, „ადითმა“ აქტიურად დაიწყო შვილობილ კომპანიებში წილის მოთხოვნა ყადაღის მოხსნის სანაცვლოდ, რაც არა ერთხელ გაცხადდა სასამართლოს სხდომებზეც. ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მოსამართლემ დაკარგა ნდობა თავისი გადაწყვეტილებებით, მივმართეთ იუსტიციის საბჭოს შესაბამისი საჩივრით და მოვითხოვეთ მოსამართლის აცილება. ჩვენდა გასაკვირად, ბატონმა სულაკაძემ კატეგორიული უარი განაცხადა. ჩვენთვის ცნობილია, რომ „ადითის“ ძირითადი პარტნიორის, ლენა ლევინის ადვოკატი შუამდგომლობის წარდგენისას, ბატონი დავით ასათიანი (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის ერთ-ერთი ყოფილი კანდიდატი) იყო, რომლის სახლის მისამართზეც, ამჟამად, შპს „ადითია“ რეგისტრირებული. საგულისხმოა, რომ „ადითის“ დამფუძნებელი იურიდიული პირი ისრაელშია რეგისტრირებული და ჩვენ მის საბოლოო ბენეფიციარ ფიზიკურ პირებამდე ვერ გავედით, თუმცა არ გაგვიკვირდება, თუ მასში ქართველ ფიზიკურ პირებს აღმოვაჩენთ, რომლებიც ამ სასამართლო პროცესში არიან ჩართულები. რაც შეეხება ბატონების, ასათიანისა და სულაკაძის ურთიერთობებს, ვიცით, რომ ისინი მეგობრები (კლასელები) არიან. ორივეს ქუთაისის მე-3 სკოლა აქვს დამთავრებული, ერთსა და იმავე დროს სწავლობდნენ თსუ-ში საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე და მათი ოჯახის წევრები, სოციალურ ქსელშიც არ მალავენ მეგობრობის ფაქტს“.**

სამართლებრივი ტერორი „აი სი ჯგუფის“ წინააღმდეგ

„ვერსიას“ სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფის“ ადვოკატი, **გოჩა სვანიძე** ესაუბრება:

— ბატონო გოჩა, ბრძანეთ, რომ „ადითმა“ გაბერილი ხარჯები წარმოგიდგინათ. ამის დამადასტურებელი ფაქტები გაქვთ?

— ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, „ადითის“ მიერ წარმოდგენილი ხარჯები ეჭვს იწვევს. შეუძლებელია, ერთი და იგივე პაციენტი, ერთსა და იმავე დროს, რაიონის ორ სხვადასხვა საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობას გადიოდეს. შესაძლოა, ერთგან სისხლის ანალიზი აიღოთ და შემდეგ, მეზობელ რაიონში წახვიდეთ, სადაც სრულ გამოკვლევას ჩაიტარებთ, მაგრამ როგორ შეიძლება, ერთსა და იმავე დროს, ორ სხვადასხვა საავადმყოფოში იწვეთ? ეს საკმარისი მიზეზი იყო, გვეთქვა, რომ დოკუმენტები ყალბია. გარდა ამისა, იყო რიგი სამედიცინო მომსახურებაც, რაზეც „ადითს“ ლიცენზია არ გააჩნდა ანუ სანებართვო პირობებიც დარღვეული იყო.

— რატომ დააყადაღეს „აი სი ჯგუფის“ შვილობილი კომპანიების ანგარიშები და ქონება, ან იურიდიულად, რა კავშირი აქვს შვილობილ კომპანიებს ამ დავასთან?

— შვილობილ კომპანიებში „აი სი ჯგუფის“ წილები რომ დააყადაღეს, გასაგებია, რადგან ეს წილი კომპანიის საკუთრებაა. ყადაღა ედება მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ქონებას, მაგრამ შვილობილი კომპანიის კუთვნილი ქონება ცალკე იურიდიული პირია. მნიშვნელობა არ აქვს, ვისი დაფუძნებულია შვილობილი კომპანია, კუთვნილი ქონების დაყადაღების უფლება სასამართლოს არ ჰქონდა. სხვათა შორის, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა კიდეც, რომ „აი სი ჯგუფის“ შვილობილი კომპანიები მოპასუხედ არ ითვლებოდა. რაც შეეხება მოტივს, სააპელაციო სასამართლოზე „ადითის“ წარმომადგენლებს წამოსცდათ, რომ „აი სი ჯგუფის“ კუთვნილი შვილობილი კომპანიების ხელში ჩაგდება სურდათ.

— „ვერსიის“ ინფორმაციით „ადითს“, რომელიც საქართველოს არაერთ რაიონში მუშაობდა, ჯანდაცვის სისტემის საკმაოდ მაღალი რანგის ჩინოვნიკები მფარველობდნენ. თქვენი საქმიდან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ ამ კომპანიას, სასამართლო ხელისუფლებაშიც ჰყავს მფარველები. თქვენი აზრით, რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს მოსამართლე სულაკაძეს, რომლის აცილებასაც ითხოვთ?

— თქვენ, ალბათ, მხედველობაში ჯანდაცვის სამინისტროს ყოფილი ჩინოვნიკები გყავთ. სასამართლოს მიერ, კონკრეტულად „ადითის“ მფარველობაზე ვერაფერს გეტყვით. ამაზე საუბარი ძნელია. კანონი უფლებას გვაძლევს, თუკი მოსამართლის მიუკერძოებლობაზე ეჭვი გაჩნდება, მისი აცილება მოვითხოვოთ. როდესაც საქმის მასალებს გავეცანი, აშკარა იყო სასამართლოს უხეში შეცდომა, რადგან სხვისი ქონება დააყადაღა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მოსამართლე და „ადითის“ ადვოკატი კლასელები იყვნენ. არ ვამბობ, რომ ეს ცუდია ან მათ შორის რაიმე გარიგება არსებობდა, მაგრამ შესაძლოა, მოსამართლეს გარკვეული სიმპათია გაუჩნდა და უნებლიედ, ხელი შეუწყო მოსარჩელეს, რათა ჩვენ მიმართ უკანონო სამართლებრივი ტერორი განეხორციელებინა. მართალია, ეს ფაქტი აღიკვეთა, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ მოსამართლე, რომელმაც ასეთი შეცდომა დაუშვა, ხვალ და ზეგ, იგივეს არ გაიმეორებს.

ვერსიანიუსი

სასაზღვრო პოლიციამ, ქრთამის მიცემის ფაქტზე, საქართველოს მოქალაქე დააკავა



შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული, საქართველოს მოქალაქე მუტალიმ გ. ქრთამის მიცემის ფაქტზე თბილისში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მუტალიმ გ-მ შსს-ს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს თანამშრომელს საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში მსხვილფეხა პირუტყვის უკანონოდ გადაყვანაში დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 5000 ლარი გადასცა.

გამოძიება ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

მეცნიერებათა დოქტორი აკაკი ტოლიაშვილი განათლების სამინისტროსა და გორის უნივერსიტეტს სასამართლოში უჩივის

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი აკაკი ტოლიაშვილი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული დარღვევებისა და ფინანსური მაქინაციების შესახებ წლებია საუბრობს. ამ საკითხს „ვერსიაში“ არაერთი სტატია მიეძღვნა, რამდენიმე ფაქტით პროკურატურაც დაინტერესდა. ამჯერად, ბატონი აკაკი იმის სათქმელად დაგვიკავშირდა, რომ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები ჩატარდა კანონდარღვევით, რაც იმის საფუძველიც გახდა, რომ ტოლიაშვილს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცა. იგი რექტორის არჩევნების შედეგების გაბათილებას ითხოვს და სასამართლოსაც მიმართა. პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი „ვერსიას“ უამბობს, როგორ „განდევნეს“ უნივერსიტეტიდან და როგორ გადაწვდნენ მისი ოჯახის წევრებს, ყველაფერში კი გორის უნივერსიტეტის რექტორს, გიორგი სოსიაშვილს ადანაშაულებს, რომელიც, როგორც ამბობს, ნაციონალების კადრია, უნივერსიტეტში ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოყვანილია და, როგორც უნდა გაგიკვირდეთ, მფარველები დღევანდელ ხელისუფლებაშიც ჰყავს. თუმცა, საკითხის არსში უკეთ გასარკვევად, უმჯობესია, აკაკი ტოლიაშვილის ბრალდებებს თანმიმდევრულად მივყვეთ.

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები 2015 წლის 12 იანვარს ჩატარდა. ტოლიაშვილი ამტკიცებს, რომ არჩევნები გამოცხადდა და წარიმართა უკანონოდ, რადგან უხეშად დაირღვა უნივერსიტეტის წესდება.

გიორგი სოსიაშვილი, რომელმაც რექტორის არჩევნებში გაიმარჯვა, კონკურსში ერთადერთი კანდიდატი იყო. ტოლიაშვილის მტკიცებით, კონკურენტი იმიტომ არ ჰყოლია, რომ კონკურსი ფარულად ჩატარდა და საკუთარ თავს თავადვე მისცა ხმა, რისი უფლებაც არ ჰქონია.

კონკურსის ფარულად ჩატარებას ტოლიაშვილი იმით ადასტურებს, რომ, მისი თქმით, უნივერსიტეტის შენობაში, წესისამებრ, არ გამოუკრავთ შესაბამისი განცხადება, სადაც იქნებოდა ინფორმაცია კონკურსის თარიღის, პირობებისა და იმის შესახებ, რა კრიტერიუმები უნდა დაეკმაყოფილებინათ ან რა საბუთები წარედგინათ მონაწილეობის მსურველებს, ინფორმაცია არც უნივერსიტეტის ვებგვერდზე განუთავსებიათ და არც გაზეთში დაუბეჭდავთ. **„არადა, ჩემი მიზანი იყო არჩევნებში მონაწილეობა. გამარჯვების შანსიც მქონდა, საბჭოს 7 წევრიდან, 3 ჩემი ყოფილი სტუდენტი იყო და კარგად მიცნობენ. არჩევნების შესახებ მხოლოდ წინა დღეს შევიტყვე, საბუთების შეგროვებას ვეღარ ვასწრებდი... ზოგადად, სოსიაშვილი გაყალბებას მიჩვეულია, 2012 წელსაც კანონდარღვევით ჩაატარა არჩევნები — აკადემიური პროფესორების ერთ-ერთი ბიულეტენი, ფაქტობრივად, გაყალბდა და სისტემური დანაშაულის ფაქტი გამოიკვეთა — პროკურატურის ინიციატივით ჩატარებული ექსპერიმენტისას, აკადემიური საბჭოს წევრებმა თავისი ბიულეტენები იცნეს — ბიულეტენები დანიშნული იყო. სწორედ ამ გაყალბების დამსახურებით ჩამოვშორდი ჩემს საყვარელ საქმიანობას, რომელსაც 35 წელი ვემსახურე და დავრჩი უმუშევარი“,** — აცხადებს ტოლიაშვილი და საბჭოს შვიდი წევრიდან 4-ის არალეგიტიმურობაზე საუბრობს. მისი განმარტებით, გორისა და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტები 2007 წელს გაერთიანდა, რის შემდეგაც ცხინვალის უნივერსიტეტის პროფესორებს თანამდებობებზე ყოფნა განესაზღვრათ არჩევნების ვადის ამოწურვამდე; რადგან თ. გოგოლაძე და ჯ. ქირია არჩეულნი იყვნენ 2006 წლის 1 თებერვალს და შრომითი ხელშეკრულება 3 წლის ვადით იყო განსაზღვრული, მათი შრომითი ხელშეკრულებები 2009 წლის 1 თებერვალს დასრულდა. შემდგომი არჩევნები უკვე გორის უნივერსიტეტში ჩატარდა 2009 წელს, უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებებით კი ისინი აკადემიურ თანამდებობებზე დაინიშნენ 2009 წლის 2 თებერვლიდან. ტოლიაშვილის მტკიცებით, რადგან მათ რაღაც პერიოდში შეუწყდათ აკადემიური თანამდებობები, აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში 2012 წლის არჩევნებამდე იმყოფებოდნენ არალეგიტიმურად — მათ აკადემიურ თანამდებობებზე შრომითი ხელშეკრულება კი არ გაუგრძელდათ, ახლიდან დაინიშნენ. არადა, მათ დაუმთავრდათ ვადა პროფესორის თანამდებობებზე და საბჭოს შემადგენლობაში ყოფნაც უნდა შეწყვეტოდათ.

აკაკი ტოლიაშვილის აზრით, არც ისაა მიზანშეწონილი, რომ ხსენებული ქირია, მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, პარალელურად, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის გამგე და ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრია: **„თუ ჩავთვლით, რომ კათედრის გამგეობა ადმინისტრაციული თანამდებობაა, საბჭოს წევრი არ უნდა იყოს. თუ ჩავთვლით, რომ დამხმარე პერსონალია, მაშინ უნივერსიტეტში უნდა დადიოდეს ყოველდღე და არა კვირაში ერთხელ, რადგან ამ თანამდებობაზეც იღებს ხელფასს“.**

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი უნივერსიტეტში სოსიაშვილის მიერ დამყარებულ დიქტატურაზეც საუბრობს და იმაზეც, რომ რექტორი შანსს არ უშვებს, თავისი მფარველებით იტრაბახოს. მისი თქმით, თავის დროზე, სოსიაშვილი, როგორც ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი და ერთ-ერთი მთავარი გამყალბებელი, გორის საკრებულოს ნაციონალური ფრაქციის წევრი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის უშუალო პროტექციით მოიყვანეს სასწავლებელში რექტორად. მოსვლის დღიდან უნივერსიტეტში დიქტატურა დაამყარა, რაც სტუდენტებისა თუ აკადემიური პროფესურის დატერორებით, სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებზე მისვლის მოთხოვნით გამოიხატებოდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი სოსიაშვილი თურმე ახალ მფარველებზე ალაპარაკდა — ყველგან ამბობს, პრემიერი ჩემი ნათესავია და სანამ ხელისუფლებაშია, რაც უნდა გავაკეთო, ხელს ვერავინ მახლებსო. **აკაკი ტოლიაშვილი: „ეს ადამიანი ურცხვად იყენებს მთავრობის მეთაურის სახელს და ჩრდილს აყენებს მას. მინდოდა, პრემიერი გამეფრთხილებინა, სოსიაშვილი სახელს გიტეხს-თქო. არაერთი წერილი მივწერე, სადაც დარღვევების შესახებაც მოვახსენე, მაგრამ არანაირი რეაგირება არ ყოფილა. მასთან ახლობლობის დასამტკიცებლად, ირაკლი ღარიბაშვილის ბიძას, რამაზ ღარიბაშვილს ასახელებს, რომელიც გორის რაიონის სოფელ დიცში ცხოვრობს. სოსიაშვილიც დიციდანაა და ხალხს სჯერა, რომ ნათესავები არიან. პარალელურად, უნივერსიტეტში, თანამშრომლებად ღარიბაშვილის ნათესავები მიიღო. წელიწადნახევარია, წერილები სხვადასხვა უწყებაში მიმაქვს, მაგრამ შესაბამისი ნაბიჯები არც განათლების სამინისტროს მხრიდან გადადგმულა. სანიკიძის უწყების შიდააუდიტმა დასკვნები კი დადო, მაგრამ ფაქტები ზერელედ შემოწმდა. ისეთი პირების მონათხრობს დაეყრდნენ, რომლებიც, ცხადია, არ აღიარებდნენ ამ დარღვევებს. ახლა, რექტორის არჩევნების შედეგების გაუქმებასა და ახალი, სამართლიანი არჩევნების დანიშვნას ვითხოვ. შედეგების გასაჩივრების ვადა ისე ამოიწურა, სამინისტრომ ამ საკითხზე რეაგირება არ მოახდინა. ვფიქრობ, სანიკიძეც პრემიერის გამო იკავებს თავს, შეხვედრაზეც არ დამთანხმდა... სხვა გზა არ დამრჩა, უმუშევარმა, შეურაცხყოფილმა დოქტორმა, სასამართლოში შევიტანე სარჩელი“.**

აკაკი ტოლიაშვილმა ისიც გაიხსენა, რომ უნივერსიტეტში დარღვევების შესახებ, ნლების წინაც საუბრობდა, როცა რექტორი სოსიაშვილის წინამორბედი, ასევე სააკაშვილის დანიშნული ზაზა ცოტნიაშვილი იყო, რომელმაც, ბატონი აკაკის მტკიცებით, დიდი ფინანსური ზარალი მიაყენა უნივერსიტეტს. ცოტნიაშვილის „საგმირო საქმეების“ გასაჯაროება გახდა, თავის დროზე, მეცნიერებათა დოქტორ ტოლიაშვილთან დაპირისპირების მიზეზიც. **„დაპირისპირება იმით დასრულდა, რომ საბოლოოდ, ცოტნიაშვილმა ჯერ მე გამათავისუფლა თანამდებობიდან, მერე ჩემი მეუღლე, რომელიც უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუშაობდა. აკადემიური თანამდებობიდან გაათავისუფლეს ჩემი შვილიც, რომელიც ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატია. დევნილი ოჯახი ულუკმაპურად დაგვტოვეს. მაშინაც ვიჩივლე სასამართლოში. მე მას შემდეგ აღმადგინეს სამსახურში, რაც ცოტნიაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო უნივერსიტეტის კუთვნილი მილიონის გაფლანგვაზე... სოსიაშვილიც, წინამორბედის გზას ადგას“,** — აცხადებს ტოლიაშვილი და გვიმხელს, რომ პროკურატურისა თუ უშიშროების წარმომადგენლები გაჩუმებისკენ მოუწოდებენ და ემუქრებიან, შენთვის იქნება უკეთესი, ამ საკითხზე კრინტს თუ აღარ დაძრავო. **„არადა, დანაშაულს დანაშაული ემატება. მთავარი პროკურატურიდან მასალებს შიდა ქართლის პროკურატურაში გზავნიან, რომელიც საქმეს თაროზე დებს. უნივერსიტეტში უკვე ეკონომიკური გაფლანგვა ფიქსირდება, ბიბლიოთეკა გაქურდეს, უნიკალური წიგნებია დაკარგული. ამაზეც აღძრულია საქმე“.**

ტოლიაშვილის მიერ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფიქსირებული დარღვევებით განათლების სამინისტროს შიდააუდიტი დაინტერესდა და შესაბამისი დასკვნა ბატონ აკაკისაც გადაეგზავნა. შიდააუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში, შავით თეთრზე, წერია, რომ **„სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მიეცა მითითება, უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის განუხრელი დაცვა მომავალ საქმიანობაში“.** ტოლიაშვილი აცხადებს, მითითება გასაგებია, მაგრამ რა ეშველება უკვე გაფუჭებულ საქმეს, ნუთუ თუნდაც მხოლოდ კანონდარღვევით ჩატარებულ არჩევნებზე პასუხი არავინ უნდა აგოსო...

არჩევნები რომ კანონდარღვევით ჩატარდა, დასკვნაში, ფაქტობრივად, ესეც მითითებულია, სადაც ვკითხულობთ: **„უნივერსიტეტმა წარმოუდგინა სამინისტროს საუნივერსიტეტო გაზეთის ეგზემპლარი №52. 27.10.2014. სადაც გამოქვეყნებულია განცხადება რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების, კანდიდატურის რეგისტრაციისა და კანდიდატის შერჩევის კრიტერიუმების შესახებ. კანცელარიის გამგემ კი მოხსენებით ბარათში დაწერა, რომ ინფორმაცია უნივერსიტეტშიც განთავსდა თვალსაჩინო ადგილას. რაც შეეხება ვებგვერდს, მასზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის დადგენილების გვერდზე განთავსებული დადგენილებები ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. არც მთავარ გვერდზე, სიახლეებში არ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია კონკურსის გამოცხადების თაობაზე. ამ შემთხვევაში განცხადების გამოქვეყნება არ განხორციელებულა თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების სრული დაცვით, რადგან არათანაბარ პირობებში იყო შესაძლებელი კონკურსის თაობაზე განცხადების გაცნობა უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით ინფორმაციის მიმღები პირებისა და იმ პიროვნებებისთვის, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ, ინფორმაცია მიეღოთ საუნივერსიტეტო გაზეთიდან ან უნივერსიტეტის შენობაში განთავსებული დადგენილებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ დასტურდება უნივერსიტეტის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის №125/ნმ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის სრულად შესრულების ფაქტი“.**

დასასრული მე-9 გვერდზე

ვერსიანიუსი

შსს-მ ზესტაფონში მომხდარი ყაჩაღობის 2 ფაქტი გახსნა

შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი 4 პირი: 1979 წელს დაბადებული ლევან ც, 1986 წელს დაბადებული ლევან ფ, 1986 წელს დაბადებული გიორგი ფ. და 1990 წელს დაბადებული გიორგი ჩ. ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიარაღებული ბრალდებულები მიმდინარე წლის 4 და 6 აპრილს ზესტაფონის რაიონში ყაჩაღურად თავს დაესხნენ ორ ავტოგასამართ სადგურს, საიდანაც იარაღის მუქარით გაიტაცეს ფული და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებულები მომხდარიდან რამდენიმე დღეში დააკავეს. დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო ვაზნები, ცივი იარაღი და დანაშაულებრივი გზით მისაკუთრებული ტექნიკა ამოიღეს.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

მაკა ლომაძე
555-27-95-13

სპეციალური რეპორტაჟი შშმ პირებისთვის განკუთვნილი ერთადერთი სოციალური კაფედან

„რეას ციყვებში“ აგრესიისთვის ადგილი უბრალოდ არ არის“

ჭონქაძის ქუჩაზე, მთაწმინდის ძირში თუ მოხვდებით, აუყევით ბოლომდე და „რეას ციყვებს“ ესტუმრეთ — შორია, მაგრამ ღირს, რომ გაისეირნო კიდეც, ქალაქის მტვერსა და ხმაურსაც მოწყდე და ქველმოქმედებაც გასწიო. „ვერსია“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის განკუთვნილ ერთადერთ სოციალურ კაფეს „რეას ციყვებს“ ესტუმრა, სადაც განვითარების თავისებურების მქონე პირები არიან დასაქმებულნი. დასავლეთში ეს მიღებული პრაქტიკაა, ჩვენთან კი, ერთი რომ გაჩნდა, უკვე მიღწევაა. ყველა უცხოელი, რომელიც აქვე მუშაობს ან ცხოვრობს, „რეას ციყვების“ ხშირი სტუმარია. აქ ადგილობრივებიც შედიან, რაც სოლიდარობის განცდას იწვევს. ბავშვებიც დადიან, რომელთაც უგემრიელესი, ლაღიძის ლიმონათი უხმობს.

„სად არის „რეას ციყვები“? – ვეკითხები პატარა ბიჭს. დაუფიქრებლად მპასუხობს. კაფეში მშვენიერი ორანჟერეა, მის ქვეშ არსებულ „რეას“ საინტეგრაციო ცენტრში შექმნილი ნამუშევრების გამოფენა და რაც მთავარია, ბენეფიციარი ახალგაზრდების აუნაზღაურებლად მზიანი ღიმილი გელოდებათ, რომლებსაც თქვენი მისვლით, უდიდეს სიხარულს ჩუქნით. მადლი არ არის, როცა ერთი ფინჯანის დალევითაც კი, უდიდეს საქმეს შეეწევი და დაეხმარები ამ არაჩვეულებრივ ხალხს, ამუშაონ კაფე, რომელმაც მენტალობის პრობლემის მქონე ადამიანების დასაქმება უნდა შეძლოს. ისინი აქ ნახევარ დღეს ატარებენ, სწავლობენ, ურთიერთობენ და მუშაობენ კიდეც. ურბანულ გარემოში ამოქმედებული ასეთი სახის სოციალური კაფე სრული ნოვაციაა საქართველოსთვის, ერთადერთია მთელ ამიერკავკასიაში და ანალოგი არც რუსეთში მოეძებნება. სოციალური საწარმოსა და თბილისის საინტეგრაციო ცენტრის გარდა, კავშირ „რეას“ აქვს ასევე სამი მიკროსაინტეგრაციო ცენტრი სამცხე-ჯავახეთის რეგიონში.

„2006 წლიდან ინტენსიურად ვსაქმიანობთ ამ სფეროში. სწორედ ამ წელს დავაარსეთ პირველი საინტეგრაციო ცენტრი თბილისში, სადაც დღეისთვის 20 ბენეფიციარი გვყავს. სამი ცენტრი გვაქვს სამცხე-ჯავახეთის სამ რაიონში — ადიგენში, ახალქალაქსა და ასპინძაში. ჯერ დავიწყეთ სასიცოცხლოდ აუცილებელი უნარების განვითარება, რაც საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას შეუწყობდა ხელს. დავიწყეთ მენტალობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისთვის ჯერ საყოფაცხოვრებო, შემდეგ კი სახელობო უნარების განვითარება“, — გვიამბობს კავშირ „რეას“ ხელმძღვანელი **ელისო რეხვიაშვილი.**

დავინტერესდით, რით არიან დაკავებულები საინტეგრაციო ცენტრში გაერთიანებული მოზარდები და ახალგაზრდები. გასაგები მიზეზების გამო, სახელობო პროფესიათა დიაპაზონი არც ისე დიდია. თუმცა, ეს ადამიანები მშვენიერ ნამუშევრებს ქმნიან. შევიტყვეთ, რომ ისინი თექის, კერამიკის, კულინარიისა და მცირე პოლიგრაფიის სახელოსნოებში მუშაობენ. **ელისო რეხვიაშვილი: „თავიდან, არტ-თერაპიული მეცადინეობით დავიწყეთ, შემდეგ კი, შრომით თერაპიაზე გადავედით. ახლა იმაზე ვმუშაობთ, ეს სახელოსნოები თანდათან ტრანსფორმირდეს სოციალურ საწარმოებად, რომლებშიც შევძლებთ ჩვენი ცენტრების შშმ ახალგაზრდების დასაქმებას. გარდა ამისა, ამ საწარმოებიდან მიღებული შემოსავალი მთლიანად მოხმარდება ჩვენი ბენეფიციარების სხვადასხვა საჭიროებებს. მნიშვნელოვანია, რომ თბილისში უკვე გაკეთდა ეს. ზოგადად, ურბანულ გარემოში ბევრად რთულია ასეთი კაფეს არსებობა, რადგან დაბაში კონკურენცია ბევრად ნაკლებია. მეორეც, დაბაში ყველა ყველას იცნობს და სოლიდარობის მომენტი უფრო მაღალია. სამაგიეროდ, ჩვენს ქუჩაზე ახლახან გახსნილმა მოდერნულმა კაფემაც ვერ წაგვართვა ახალგაზრდა მომხმარებლები, რაც ძალიან გვახარებს“.**

ელისო რეხვიაშვილის განმარტებით, დასავლეთში ბიზნესკომპანიები მხარს უჭერენ მსგავს საქმიანობას, თუნდაც იმის გამო, რომ მათ ამ შემთხვევაში სერიოზული საგადასახადო შეღავათები აქვთ. როგორც ირკვევა, სახელმწიფო სოციალური პროგრამები უკვე ითვალისწინებს სახელობო განათლების მიღებას, თუმცა, ქალბატონი ელისოს სურვილი და რეკომენდაციაა, მთავრობამ ამ ხალხის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების მხარდაჭერაც მალე დაიწყოს. **„რეას“ საინტეგრაციო ცენტრების გახსნამდე სამცხე-ჯავახეთში საერთოდ არ არსებობდა მსგავსი სოციალური სერვისები. ამ ცენტრების ამოქმედება ჩვენი გერმანული და ავსტრიელი პარტნიორების (გერმანული Brot für die Welt, ავსტრიული „დიაკონი“) და ასევე ავსტრიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით შევძელით. სოციალური კაფე-გალერეა „რეას ციყვების“ დაფუძნებაში კი ვენის მოქალაქეები დაგვეხმარნენ. ჩვენმა პარტნიორებმა ავსტრიული „დიაკონიიდან“ მიმართეს ვენის ერთ-ერთ ეპისკოპოსს და მან მიმართა თავის მრევლს, მხარი დაეჭირათ ჩვენი პროექტისთვის. გვყავს რუსი პარტნიორებიც. ამბობენ, ორი რუსეთი არ არსებობსო. მე კი მგონია, რომ არსებობს. მაგალითისთვის ის ფაქტიც კმარა, რომ რუსი პარტნიორების ნაწილი, ვინც მანამდე ვერ მოახერხა ჩამოსვლა, სწორედ 2008 წლის მერე ჩამოვიდნენ ჩვენთან. ჩამოდიან პეტერბურგში არსებული ცენტრის „ანტონი აქ არის“, მოსკოვის „სამკურნალო პედაგოგიკის ცენტრის“ აუტისტი მოზარდები, მათი მშობლები და პედაგოგები. მათთან ერთად — ცნობილი ჟურნალისტები, რეჟისორები“.**

სიკეთე მართლაც გადამდებია. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „რეას“ მხარდამჭერი სტუდენტური კლუბი „ტრირეა“. დეკემბერში უნივერსიტეტთან გაფორმდა მემორანდუმიც. სტუდენტებმა დაპატიჟეს „რეას“ ბენეფიციარები სტუდენტური სპექტაკლების ფესტივალზე, გადასცეს სიგელებიც. **„ამ კლუბში გაერთიანებულნი არიან როგორც სტუდენტები, ასევე ჟურნალისტებიც. მემორანდუმის საფუძველზე, უნივერსიტეტის მესვეურებმა გადაწყვიტეს, „რეას“ ბენეფიციარებს უფასო სტომატოლოგიური მომსახურება გაუწიონ. ეს ადამიანები უსაზღვროდ კეთილები არიან. მათგან ძალასა და ენერგიას ვიღებთ. ჩვენ კი, დავამკვიდრეთ ტრადიცია — ყველა სტუმარი აუცილებლად ამ კაფეში მოგვყავს. სტუდენტებს ძალიან უხარიათ „რეას“ ბენეფიციარებთან ურთიერთობა. ფოტოსესიაც მოვუწყვეთ ცნობილ ადამიანებთან“,** — აცხადებენ სამედიცინო უნივერსიტეტში.

29 წლის **ხათუნა დანელია** ერთ-ერთი ბენეფიციარია. გვიღიმის. ბედნიერია, რომ მუშაობს: **„დედამ გაიგო, აქ კოლეჯივით ცენტრიაო. კაფეშიც ვმუშაობ, მიმტანიც ვარ და დამლაგებელიც. ჭურჭელს ვრეცხავ, სამზარეულოშიც ვეხმარები. ხალხი რომ შემოდის, კმაყოფილი ვარ. სხვა ხელობიდან ყველაზე მეტად მიყვარს თექაზე მუშაობა. კაფეში არის ჩვენი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. აქ არასოდეს ვიწყენ“.**

რუთ მარციანიაკი 18 წლის გოგონაა გერმანიიდან. იგი მოხალისეა: **„უბრალოდ, მაინტერესებდა ასეთი ხალხის გაცნობა. თან, საქართველოც მინდოდა მენახა. წამოსვლამდე ვყოყმანობდი, რადგან ქართული ენა ძალიან რთულია, მაგრამ თვითონ პროექტმა დამარწმუნა, რომ უნდა ჩამოვსულიყავი. სიტყვები ვისწავლე. მეხმარება ჟესტების ენაც. ზოგჯერ, მათთან საურთიერთოდ სიტყვები არც გჭირდება“.**

სამომავლო საქმიანობისთვის „რეა“ ახალ მხარდამჭერებს ეძებს. ამ სფეროში, ეს ყოველთვის საჭიროა. „რეას“ მიზანია, პურის საცხობი გახსნან, რაც მეტ ბენეფიციარს დაასაქმებს. სექტემბერში, ასპინძაში „რეას“ მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სპორტულ-შემოქმედებით ფესტივალი ჩატარდება. კიდევ ერთი შესანიშნავი რამ: „რეას“ საქმიანობა დეცენტრალიზებულია და ასევე, ხელს უწყობს უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ურთიერთობების დათბობას. **„არც კი დაგვივალებია, „რეას“ ახალქალაქის მიკროსაინტეგრაციო ცენტრის სომეხი შშმ ბავშვები ცდილობენ, დღესასწაულებზე ქართული ლექსებიც თქვან.**

მათი მშობლებიც, რომლებმაც ადრე სახელმწიფო ენა არ იცოდნენ, ახლა ახერხებენ ქართულად საუბარს. აი, ასეთი სფეროა ეს — აგრესიისა და არაკეთილგანწყობისთვის ადგილი უბრალოდ აღარაა“, — ამბობს ქალბატონი ელისო და ძნელია, არ დაეთანხმო — საზოგადოება უკეთესი ხდება, როცა შემოდის ასეთ კაფეში და იცის, რომ ეს არაჩვეულებრივი ხალხი უნდა უყვარდეს.

მეცნიერებათა დოქტორი აკაკი ტოლიაშვილი განათლების სამინისტროსა და გორის უნივერსიტეტს სასამართლოში უჩივის

მე-8 გვერდიდან

აკაკი ტოლიაშვილი აცხადებს, რომ უნივერსიტეტში გაზეთი არავის უნახავს. **„ალბათ ერთი ნომერი დაბეჭდეს საჩივრის შემდგომ და წარმოადგინეს. ეჭვს იწვევს ის, რომ არც ერთ გაზეთს, რომელიც აქამდე გამოსულა, არ აწერია რიცხვი, მხოლოდ თვეა მითითებული. როგორც წესი, ყოველთვის გამოდის თვის დასაწყისში, რატომღაც ეს ნომერი გამოვიდა თვის ბოლოს და იმ დღეს, როცა აკადემიური საბჭოს სხდომა ჩატარდა. არც ისაა სიმართალე, თითქოს განცხადება უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას იყო გამოკრული. ჩამოსულიყვნენ ადგილზე შიდააუდიტის თანამშრომლები და ისე შეესწავლათ ვითარება. ჩანს, ეყრდნობოდნენ კანცელარიის გამგის ახსნა-განმარტებას. მას ევალება განცხადების გამოკვრა და, ცხადია, იტყვის, გამოვაკრითო. ასეც რომ არ ყოფილიყო, განცხადებაც გამოეკრათ და გაზეთშიც დაებეჭდათ, ორივე მხოლოდ უნივერსიტეტში ვრცელდება. წესდების თანახმად კი, არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი. საიდან შეიტყობდა არჩევნების შესახებ მსურველი, თუ არა უნივერსიტეტის ვებგვერდიდან? ასე რომ, განა ის უნდა მომწერონ, წესდების სრულად შესრულება არ დასტურდებაო, უნდა აღიარონ, რომ არ გამოცხადებულა რექტორის არჩევნები, ჩატარდა უკანონოდ, უნდა გააბათილონ შედეგები და დანიშნონ ახალი არჩევნები“,** — კონტრარგუმენტები მოჰყავს ტოლიაშვილს.

განათლების სამინისტროს შიდააუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში აკადემიური საბჭოს ლეგიტიმურობის შესახებაც წერია. **„დადგინდა, რომ აკადემიური საბჭო არჩეულ იქნა 2008 წელს და მას „ააიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №213/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 51-ე მუხლის I პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა 2012 წლის 2 თებერვლამდე. ამის მერე ჩატარდა აკადემიური საბჭოს ახალი არჩევნები, რომლის შედეგების გათვალისწინებით არჩეული საბჭოს უფლებამოსილება ცნობილი იქნა „ა(ა)იპ გორის სასწავლო უნივერსიტეტის აკად. საბჭოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 24 თებერვლის დადგენილებით. რადგან საბჭოს არჩევის მომენტში მოქმედი წესდების შესაბამისად საბჭო აირჩა 4 წლით, 2012 წლის თებერვალში არჩეული აკადემიური საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება რექტორის არჩევნების გამოცხადების თაობაზე“.**

რადგან საქმე სასამართლომდეა მისული, გარკვეულ ფაქტებს კი პროკურატურა იძიებს და ჩვენი პრეროგატივა არაა, მტყუან-მართალი ვარკვიოთ, საბოლოო სიტყვა კომპეტენტური უწყებებისთვის მიგვინდვია იმედით, რომ საკითხს ობიექტურად განიხილავენ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ. პრობლემის დასმის შემდეგ კი, „ვერსია“ აკაკი ტოლიაშვილის ბრალდებების მთავარ ადრესატს, გორის უნივერსიტეტის რექტორს, გიორგი სოსიაშვილს დაუკავშირდა. ტოლიაშვილის ბრალდებებს უნივერსიტეტმა ოფიციალურად, წერილობით უპასუხა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ: **„აკადემიური საბჭოს 2014 წლის 27 ოქტომბრის №09-139 დადგენილებით, უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდა არჩევნები კანონმდებლობის სრული დაცვით. აკადემიური საბჭოს დადგენილება განთავსდა უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, განთავსდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და დადგენილებით დამტკიცებული განცხადების ტექსტი გამოქვეყნდა გაზეთში „გორის უნივერსიტეტი“ (დასტურდება შესაბამისი მასალებით). შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მოყვანილი ფაქტები სრულიად უსაფუძვლოა. აღსანიშნავია ისიც, რომ აკაკი ტოლიაშვილი სრულად ფლობდა ინფორმაციას უნივერსიტეტში რექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული არჩევნების თაობაზე. შესაბამისად, სურვილის შემთხვევაში მას შეეძლო მონაწილეობა მიეღო აღნიშნულ კონკურსში (აღნიშნული დასტურდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მის მიერ წარდგენილ განცხადებაში).**

აკადემიური საბჭო (რომლის მიერაც არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორი) არჩეულ იქნა 2012 წლის 23 თებერვალს, 4 წლის ვადით, კანონმდებლობის სრული დაცვით. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №192 დადგენილებით აკადემიურ საბჭოს უფლებამოსილება განესაზღვრა დარჩენილი ვადით, ანუ 2016 წლის 23 თებერვლამდე. შესაბამისად, აღნიშნული ორგანო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის კომპეტენციაში არსებული ყველა საკითხი, მათ შორის მიიღოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადებისა და ჩატარების თაობაზე.

ჩამოთვლილი ბრალდებები თავად ეწინააღმდეგება ერთმანეთს. გორის უნივერსიტეტის რექტორს, გიორგი სოსიაშვილს ნათესაური კავშირი არ აქვს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, მასთან პირველი ოფიციალური შეხვედრა შედგა 2014 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საზეიმო მიღება გამართა და სხვა სტუმრებთან ერთად მიწვეული იყო გორის უნივერსიტეტის რექტორიც. სწორედ ამ მიღებაზე გადაღებულ ფოტოზეა საუბარი აღნიშნულ წერილში (შეგიძლიათ, იხილოთ ლინკი https://www.facebook.com/media/set/?set=a.657553581002388.1073742458.373058439451905&type=1)

2014 წელს გორის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაფიქსირდა წიგნების ქურდობის ფაქტი, რაზეც უნივერსიტეტმა აცნობა გორის რაიონულ სასამართლოს, აღნიშნულის თაობაზე მიმდინარეობს გამოძიება“.

ალდგომა ზონაზე

პასტის გუდით შელებილი ვადაგასული კვერცხი, ორცხობილისგან „გამომცხვარი“ პასკა და ასზე მეტი მოწამლული პატიმარი

პატიმარი №0578

იცით, ყველაზე მეტად რა სურს გისოსებსმიღმა მყოფ პატიმარს? ვერსია, შესაძლოა, ბევრი იყოს, მაგრამ რეალობა ერთია და მწარე — ნორმალური საკვები. მართალია, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ე.წ. მაღაზიები გაიხსნა, მაგრამ იქ ძეხვის, არაჟნისა და მანწნის გარდა, თითქმის არაფერი იყიდება. კვერცხის ყიდვა საშიშია იმ მიზეზით, რომ ხშირად ვადაგასული მოაქვთ. ვერც ძეხვი და არაჟანი დაიკვეხნის უმაღლესი ხარისხით, მაგრამ ბალანდას უდავოდ სჯობს. თუმცა არის კიდევ ერთი პრობლემა — ბალანდა უფასოა, მაღაზიის საკვები კი ფული ღირს. ამიტომაა, რომ საერო თუ სასულიერო დღესასწაულების მოახლოება, პატიმრებისთვის ზეიმია. ამ დროს ხელისუფლება ერთი დღით ნორმალურ საკვებს იმეტებს. ეს ახალ წელს, აღდგომას, გიორგობას და მარიამობას ეხება. დანარჩენი დღესასწაულები გისოსებსმიღმა არ არსებობს და თუ არსებობს, მას პატიმრები საკუთარი სახსრებით აღნიშნავენ.

პატიმარი №0578 რუსთავის №17 დაწესებულებაში ნახევარი წლის მიყვანილი იყო. ახალმა წელმა გაიარა, ზონა აღდგომისთვის ემზადებოდა და, ერთი შეხედვით, იგივე ფუსფუსი იყო, რაც საახალწლოდ, მაგრამ... პატიმრები პასკის მომზადებაზე ჩალიჩობდნენ. როგორია პასკის გამოცხობა ზონაზე და თან კაცების მიერ, თავად განსაჯეთ. მოსახარში კვერცხი ბლომად იყო, შესაღები საშუალებები — არა და ახლა იმაზე დაიწყეს ფიქრი, როგორ შეეღებათ სააღდგომო კვერცხი.

„მომისმინე, შენ კვერცხი ხომ გინდა სააღდგომოდ? შეღებილი კვერცხი. ჰოდა, შენი ხოდებით ფერადი პასტები შემოატანინე გარედან. ყველა ფერის პასტა არსებობს და შემოატანინე. ნახავ, რას შევქმნით“, — უთხრა პატიმარ №0578-ს იმ პატიმარმა, რომელიც მთელ ზონას სვირინგებს უხატავდა. №0578-მა კარგად იცოდა, რომ ის პატიმარი მართლა შეძლებდა საოცარი ნახატის შექმნას. ამ საუბარს ერთი სვანი პატიმარიც ისმენდა და ჩუმად თქვა: „მე ჩემს ძმას ვეტყვი და შემოვაგზავნინებ იმასაც. დისტრიბუციაში მუშაობს და უფრო ადვილად იშოვის“... მესამე დღეს საინტერესო ვითარება შეიქმნა — №0578-ს ფერადი პასტები შემოუტანეს, იმ სვანს კი ამანათით... „აქუაფრეში“ შემოუვიდა.

„ეს რა არის?!“ — გაიოცეს №0578-მა და მხატვარმა.

„რა ვიცი... ჩემს ძმას ვუთხარი, ფერადი პასტები მინდა-თქო და როგორიო და ჩემს ბავშვობაში იყო, სამფერიანი, კნოპკით და ვუთხარი, აი, სამფერიანები-მეთქი და ათი ცალი აქუაფრეში შემომიგზავნა“, — სვან პატიმარს თან ეცინებოდა, თან ბრაზდებოდა და...

№0578 და მხატვარი სიცილით ჩაბჟირდნენ, სვანი დაამშვიდეს, საკმარისია, რაც შემოგზავნესო და მხატვარმა მოხარშული კვერცხები დაიწყო წინ. მეორე დღეს №0578-მა გაოცებისგან პირი დააღო. საოცრად იყო თითოეული კვერცხი მოხატული, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ თითქმის ყველა მათგანზე მაცხოვარი, ღვთისმშობელი და წმინდანები იყო გამოსახული.

„რომ არ გამოვა ამ კვერცხების გატეხვა და ჭამა, ამას თუ ხვდები?!“ — ჰკითხა მხატვარს.

„რატომ, ვადაგასულია?!“ — გაუკვირდა მართლა შედეგრების შემქმნელს.

„ვადაგასული კი არა... ღვთისმშობელი წმინდა გიორგის უნდა ჩავარტყათ და გავტეხოთ? და მერე ეს ნაჭუჭები ნაგავში გადავყაროთ? მოდი, მლოცველების კამერაში ავიდეთ, იმათ ვკითხოთ“, — უთხრა №0578-მა და ორივე მლოცველების კამერაში ავიდა, კვერცხებიც თან წაიღეს.

მლოცველებმა ყურადღებით დაათვალიერეს კვერცხები და, რა თქმა უნდა, გატეხვაზე უარი თქვეს. №0578-მა ისიც გაარკვია, რომ სააღდგომო ღამისთევაზე ზონაში რვა მამაო მოვიდოდა და წირვას აღავლენდა. ის პატიმრები, რომლებიც მარხულობდნენ, მოუთმენლად ელოდნენ აღდგომის ღამეს, დანარჩენები კი იმაზე ბჭობდნენ, რას გაიმეტებდა ხელისუფლება დღესასწაულზე.

„მაყურებლები გეძახიან“, — №0578-ს მლოცველების კამერაში მაყურებლების შნირმა მიაკითხა და ისიც მაშინვე მაყურებლებთან ჩავიდა.

„უფროსობას ვკითხეთ, დღეს თითო პატიმარზე ქათმის თითო ბარკალი იქნება. კი იცი შენ, ეგ ბარკალი გარეთ არ ვარგა და აქ საერთოდ საშინელებას მოიტანენ. არადა, დღესასწაულია, წელიწადში ერთხელ ხომ უნდა ვჭამოთ ნორმალურად“, — დაიწყო მაყურებელმა.

„მერე მე მზარეული ვარ და ბარკლები ჩავხრაკო თუ საპროტესტო ნოტა გავგზავნო, ქათმის ხორცის ნაცვლად, ხბოს კანჭი დაარიგეთ-თქო?!“ — გაიოცა პატიმარმა.

„ბოლომდე მოგვისმინე ხოლმე, მაშინვე იერიშზე რომ გადმოდიხარ. ჩვენ მზარეული გავკერეთ, ერთ კილო საქონლის ხორცს მოგვცემს, სანაცვლოდ კი ათ ბარკალს გვთხოვს. მწვანილი ვიშოვეთ, წვნიანი რომ გავაკეთოთ, ბარკალი — ვერა. ანუ ჩვენ ექვსი გვაქვს. ოთხი გვაკლია. რომელიმე პატიმარს რომ ვთხოვოთ, იტყვიან, მაყურებლები პაიკას გვართმევენო. შენ უნდა იჩალიჩო. გაუცვალე ვინმეს რამეში. ანუ სულ სამი დაგვჭირდება, ერთი შენი, სამი საჩალიჩოა. სიგარეტი, ჩაი, ყავა... ჩვენ გამოვალთ ყველაფერს, ოღონდ გავცვალოთ“, — უთხრა მაყურებელმა.

„და იმ ჩემი ცოდვით სავსე მზარეულს ათი ბარკალი რად უნდა? ეგეც პატიმარია და რა ჯანდაბად უნდა, ვერ ვხვდები?!“ — გაოცდა №0578.

„ქათმის სალათი უნდა გავაკეთოო. მაგის კაზიოლი დედაც, რაც უნდა ის გააკეთოს, წელიწადში ერთხელ წვნიანს თუ შევჭამთ, არ იქნება ურიგო. მოკლედ, შენი იმედი გვაქვს“, — დაამთავრეს მაყურებლებმა.

პატიმარი №0578 მშვიდად გამოვიდა კამერიდან და „კაზიოლების“ კამერისკენ დაიძრა. „კაზიოლების“ მამასახლისს ხელი ჩამოართვა და მარტივად უთხრა: „დღეს შუადღისას, ბარკლებს დაარიგებენ, სამი ცალი მინდა, სანაცვლოდ კი სიგარეტს, ჩაის ან ყავას მოგცემ. მოსულა?!“

„კარგი. პრობლემა არაა. თითო ბარკალში ხუთი კოლოფი „კენტი“ მინდა, ანუ სულ 15 კოლოფი. რას იტყვი?!“ — თავის მხრივ თქვა „კაზიოლთა კაზიოლმა“.

„რას ვიტყვი და სისხლი არ გაქვს და გული. ერთი კოლოფი სამი ლარი ღირს, ანუ თითო ბარკალში 15 ლარს მართმევ. მოგცემ, ბაზარი არაა, თან შენები მომიკითხე“, — გაბრაზებით უთხრა №0578-მა.

„ვინ ჩემები კაცო?!“ — გაოცდა „კაზიოლი“.

„დედა, მამა... კარგები, კეთილები... სული რომ გაქვთ ბოზური, იმიტომ ხარ კაზიოლების კამერაში, თორემ ისე რა გიჭირს, შეგხედავ, კაცს გავხარ. ვინმე გამოუშვი სიგარეტი გამოვატანო, აქ მეორედ მომსვლელი არ ვარ, გული მერევა“, — უთხრა №0578-მა კამერიდან გავიდა.

ერთ საათში მაყურებლების კამერაში ათი ბარკალი იდო, მზარეულმა ხორცი შემოიტანა და ბარკლები წაიღო.

„ზოგადად, ხორცი მიყვარს. არჩევაც ვიცი ხორცის და მომზადებაც. თუ ვინმე მეტყვის, ეს საქონლის ხორციაო, თავს მოვიჭრი“, — №0578 ხორცის ნაჭერს ეჭვის თვალით უყურებდა.

„ბიზონის იქნება, დაიკიდე, არ მოგვკლავს“, — თქვა მაყურებელმა და წვნიანის მზადებას შეუდგა.

საკანში საოცარი სუნი კი დატრიალდა, მაგრამ რად გინდა, ხორცი არა და არ იხარშებოდა. რამდენჯერაც ხელი მოკიდეს, იმდენჯერ რეზინასავით გაიწელა. გავიდა თითქმის სამი საათი და ხორცს მოხარშვის არაფერი ეტყობოდა.

„მგონი, ხორცი კი არა, პაკრიშკის ნაჭერია, ამის დედა ვატირე“, — გაბრაზდა მაყურებელი.

„ამის შემჭმელი ხართ ვინმე?!“ — იკითხა №0578-მა.

უარის ნიშნად ყველამ თავი გადააქნია.

მოთუხთუხე ქვაბს №0578-მა ხელი მოკიდა და „კაზიოლების“ კამერისკენ წავიდა. საკანში შესულმა ქვაბი მაგიდაზე დადგა, თვალებით მზარეული მოძებნა და აღნიშნა, მოდიო. მზარეული წელმოწყვეტილი მივიდა.

„რამდენი ხნის წინ მოგვიტანე ეს ხორცი, თუ გახსოვს?!“ — ჰკითხა ჩუმად და პასუხი რომ ვერ მიიღო, გააგრძელა: „ამოიღე ხორცის ნაჭერი და დაღეჭე“. მზარეული ისევ ჩუმად იდგა. №0578 აფეთქდა, კისერში ხელი წაავლო და ქვაბისკენ დახარა: „გასინჯე-მეთქი, შენი დედა ვატირე, დაღეჭე... დროზე, თორემ მე გაგასინჯებ ჩემი ხელით“...

მზარეულმა კოვზი აიღო, ხორცის ნაჭერი ამოიღო და ფრთხილად ჩაიდო პირში. კარგა ხანს იწვალა, ვერაფერი რომ ვერ მოუხერხა, უკან გადმოაგდო.

„ბიჭო, ეს მაყურებლის მომზადებულია და მაყურებლის გაკეთებულ საჭმელს არ ჭამ?! გინდა, გავიდე და ვუთხრა, ნახელავი დაგიწუნეს-თქო?!“ — ირონიულად ჰკითხა №0578-მა.

მზარეულმა ისევ უკან იტაკა ხორცი, კარგა ხანს იწვალა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა.

„ბარკლები დააბრუნე“, — ჩუმად თქვა №0578-მა.

მზარეული წელმოწყვეტილი მივიდა კარადასთან, ბარკლები გამოიღო და მაგიდაზე დადო. №0578-მა მხოლოდ შვიდი ცალი აიღო, კაზიოლების სამი იქვე დატოვა და დაამატა: „ის სიგარეტიც თქვენი იყოს, ჭამეთ თქვე უბედურებო... აღდგომას გილოცავთ“.

მაყურებლების კამერაში ბარკლები უხმოდ მიირთვეს და წამოდგნენ, პასკა ვჭამოთო.

„პასკა?! თუ გაამწვანეთ, ვერ თქვით? მეც მოვატანინებდი“, — იწყინა პატიმარმა, მაგრამ დაამშვიდეს, აქ გაკეთებულ პასკაზე გეპატიჟებითო.

პასკა მეგრელების კამერაში იყო და მაყურებლებს ელოდნენ. ფორმით ძალიან ჰგავდა ჩვეულებრივ პასკას, მაგრამ გემოთი აშკარად განსხვავდებოდა.

„ვინ შექმნა ეს შედეგრი?! — იკითხა №0578-მა.

„მე, პატივცემულო“, — წამოდგა ზუგდიდელი რომეო.

„რეცეპტი ჩამაწერინე, თუ ძმა ხარ“, — გაუღიმა №0578-მა.

„პეჩენია კი იცი, ლარიოკში რომ იყიდება. იყიდი დაახლოებით კილონახევარს, დაფშვნი, აზელ სგუშონში და კარაქში, მერე ამ მასას ვაშლის ჩირს აურევ და...“, — და რომეოს არ დაასრულებინეს.

„რას აურევ? ვაშლის ჩირი საიდან გაქვს?!“ — გაოცდა №0578.

„საიდან და ვაშლი ხომ შემოდის სვაბოდიდან, გათლი, დაჭრი, დააჩირებ. აბა, როგორ გინდა, ძმაო, აღდგომისთვის მზადება? ჰოდა, აურევ ვაშლის ჩირს, მერე ამ ყველაფერს სუფთა ცელოფანში ჩადებ, ფორმას მისცემ ხელით და მაცივარში შედებ. კარაქი მაგრდება, გარედან ისევ პეჩენიის ნაფხვენს მიაყრი და პასკაა რა“, — დაასრულა რომეომ.

მეგრელების შედეგრს პასკის გემო აშკარად არ ჰქონდა, მაგრამ ციხისთვის იდეალური ნამცხვარი იყო... საღამოს თითო პატიმარზე ადმინისტრაციამ თითო შეღებილი კვერცხი დაარიგა. პატიმრებმა კვერცხები აჭიდავეს, მერე კი შეჭამეს.

„გემოზე არ მომეწონა ეს კვერცხი, მაგრამ სააღდგომოა და იმედია, არ მომკლავს“, — გაეღიმა ერთ-ერთ პატიმარს და ღამისთევაც დაიწყო. ეკლესიაში №0578 მაყურებლების გვერდით იდგა, თუმცა ატყობდა, აშკარად ვერ იყო კარგად. ცოტა ხნის შემდეგ, მაყურებელს ჩუმად უთხრა: კამერამდე მიმაცილე, მომწამლა ალბათ რაღაცამ, ფეხზე დგომა მიჭირს...

მაყურებელმა ირონიულად გამოხედა, მაგრამ სახე უცებ შეეცვალა, ისიც დაავიწყდა, ეკლესიაში რომ იყო და იყვირა: რა გჭირს შეჩემა, კვდები მგონი...

მაშინვე მხარში შეუდგა, ორი კაცი კიდევ გაიყოლა და სანამ კამერამდე მიიყვანდა პატიმარს, მანამდე ბოლო ხმაზე იყვირა, ექიმი დროზე, დროზე-მეთქი...

ექიმი ათ წუთში მოვიდა. გამოკითხა, რა ჭამეო და დაასკვნა, კვერცხი მოგწამლავდაო. მერე ჩანთიდან გადასხმის აპარატი ამოიღო და ის იყო, ვენის ძებნა დაიწყო ნემსის გასაკეთებლად, №0578-მა ფეხისკვრით მოიშორა. მაყურებელი გაოცდა, რას აკეთებო და...

„ვენაში ნემსი ცხოვრებაში არ გამიკეთებია. მეშინია... ძალიან მეშინია. ეს პირადულია და შენ, როგორც ზონის მაყურებელს გეუბნები, გონებაც რომ დავკარგო, ნემსი არ გააკეთებინო. როგორც უნდათ, ისე მიმკურნალონ, თუ არა და არ მოვკვდები. მოკლედ, თუ გავითიშე და ვგრძნობ ვითიშები, ნანემსარი არ უნდა ვნახო, აზრზე რომ მოვალ, თორემ მოგთხოვ, ქურდულად მოგთხოვ“, — №0578 აშკარად არ ხუმრობდა.

ამის თქმა იყო და რამდენიმე წამში №0578-მა გრძნობა დაკარგა. არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო გათიშული, მაგრამ აზრზე რომ მოვიდა, კვლავ თავის კამერაში იწვა, თავზე კი მაყურებელი ადგა.

„გადარჩი, მგონი. გული გამისკდა კინაღამ. შენ ვინ ყოფილხარ, კაცო“, — გაუხარდა მაყურებელს.

„რა უთხარი ასეთი მაყურებელს? კინაღამ ბუნტი დაიწყო ზონაზე, ნემსის გასაკეთებლად არ მომიშვა. შლანგი გადაგაყლაპე და ისე ამოგრეცხე გათიშულზე. სიცოცხლესთან ასე თამაში არ შეიძლება, არა, გესმის?!“, — ეს უკვე ექიმის ხმა იყო.

„გადი აქედან, სანამ მართლა რამე გადაგაყლაპე, სხვა კამერებშიც იქნებიან მოწამლულები და როდემდე უნდა გაასაღოთ გაფუჭებული კვერცხი პატიმრებზე?! აუდგები ფეხზე და მართლა გადაგაყლაპებთ კვერცხებს, თქვე უსისხლოებო“, — იყვირა №0578-მა

„მე რა შუაში ვარ, მე ექიმი ვარ“, — თქვა ექიმმა და საკნიდან გაიძურწა.

იმ დღეს მძიმე მოწამვლით ზონაზე ასამდე პატიმარი ჩაწვა ლოგინში. ექიმები გიჟებივით დარბოდნენ საკნიდან საკანში და საბედნიეროდ, არავინ მომკვდარა. მერე კი...

„იდეა მაქვს, პრაგონი უნდა გაატაროთ ზონაზე“, — პატიმარი №0578 მაყურებლების კამერაში იყო.

„რა პრაგონი, აბა, თქვი“, — დაინტერესდა მაყურებელი.

„ყველა პატიმარს უნდა ვუთხრათ, რომ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში კვერცხი არ იყიდოს ლარიოკში. ეს, იცი, რას ნიშნავს? ყველა კვერცხს, რასაც შემოიტანენ, ისევ უკან წაიღებენ და მიხვდებიან, რომ ან კარგი უნდა გამოუშვან, ან საერთოდ აღარ გამოუშვან... დავიბრიდებით ასე“, — ჩუმად თქვა პატიმარმა.

მაყურებლები უსიტყვოდ დათანხმდნენ და მეორე დღიდან კვერცხის ყიდვა აიკრძალა. ერთი თვის შემდეგ №0578 მაყურებლებთან ერთად ზონის უფროსობას შეხვდა და პირდაპირ უთხრა: „თუ გინდათ, კვერცხის ჭამა ისევ დავიწყოთ, ან კარგი მოვა, ან საერთოდ არ მოვა“...

ზონის უფროსს ირონიულად გაეცინა... სულაც ნურაფერი გიჭამიათო, თქვა და გაბრუნდა.

მაყურებლებმა №0578-ს შეხედეს, მერე „სხადნიაკი“ მოიწვიეს და... ზონამ სამდღიანი შიმშილობა გამოაცხადა. ზონის უფროსი ახლა თავად გადმოვიდა მაყურებლებთან, ყველა პირობას დათანხმდა და...

„ხომ ვიცი, შენი მოფიქრებულია ეს და ერთხელაც იქნება, სხვა ზონაში გაგისვრი“, — უთხრა №0578-ს.

„ვერ გამისვრი, უარს ამბობენ სხვა ზონის შეფები ჩემს მიღებაზე“, — გაუღიმა №0578-მა.

ვერსიანიუსი

შსს-მ, ყაჩაღობის ბრალდებით, ორგანიზებული ჯგუფი დააკავა

შსს-ს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის 6 წევრი: 1962 წელს დაბადებული მურმან ს, 1991 წელს დაბადებული ბექა ს, 1972 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ბესიკ ც, 1966 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი არკადი მ, 1970 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ხვიჩა ა. და 1982 წელს დაბადებული ნუკრი ა. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიარაღებულმა ბრალდებულებმა დიღმის მასივში, ნაილი გ-ს ბინაში შეაღწიეს, მას და მის შვილებს ხელ-ფეხი შეუკრეს, სიცოცხლის მოსპობის, მუქარით 200 000 აშშ დოლარის ღირებულების ოქროს ნივთებს დაეუფლნენ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ორგანიზებული ჯგუფის წევრები თბილისში, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს. დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნაყაჩაღარი ოქროს ნივთების ნაწილი ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გასაღების, დანაშაულის შეუტყობინებლობისა და ყაჩაღობის ორგანიზების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე, 186-ე, 376-ე და 25-179-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

სუდოკუ

ადვილი

7			4	5			3	
		6			2			
						2	1	9
				8			6	3
				9				
3	1			2				
8	5	4						
			7			5		
	9			6	3			1

სტანდარტი

7	9			6				1
		6					5	
	2				1			8
		5			2	4		
			3	7	6			
		1	8			9		
1			6				4	
	6					5		
8				5			6	3

რთული

	8		9		3	5		
4								
	3	2			4			1
					7	4	2	3
			3		1			
5	2	3	6					
3			4			7	1	
								4
		6	8		5		3	

ექსპერტი

				7	6	5		
8			2				9	
6		5			9	8	2	
9			3					
	8			1			3	
					7			8
	9	8	5			3		1
	6				1			2
		1	7	4				

ორიგინალური კამპანია კიბოს წინააღმდეგ

ამერიკულმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ Meredith's Miracles მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბოს შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ორიგინალური მეთოდით გადაწყვიტა. შესაბამისი ფოტოები — ჯინსის შარვლიდან გამოჩენილი უკანალი — კამპანიის ორგანიზატორებმა ჩიკაგოში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, სკამის საზურგეებზე განათავსეს. ეს უჩვეულო რეკლამა მგზავრებს მოუწოდებს, სპეციალისტს მიაკითხონ და გამოკვლევა ჩაიტარონ. მსხვილი ნაწლავის კიბო სასიკვდილო დაავადებებს შორის მეორე ადგილზეა, თუმცა, დადგენილია, რომ საწყის სტადიაზე, ერთ-ერთი ყველაზე მარტივად განკურნებადია, — აღნიშნულია სარეკლამო ბანერზე.

კონტაქტური ლინზები ძვირფასეულობისგან

ინდოელმა ოფთალმოლოგმა კონტაქტური ლინზები ბრილიანტებით ინკრუსტირებული ოქროსგან შექმნა, იდეა კი მაშინ დაებადა, როცა ცოლის კბილები ნახა ბრილიანტებით და მიხვდა, რომ ადამიანებს სამკაულის გაკეთება ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ. საფუძვლად ინდოელმა სპეციალისტმა Boston Scleral-ის ლინზები აიღო, რომელიც მორთულობის სამაგრია და იცავს თვალის რქოვანას ძვირფასეულობასთან შეხებისგან. ლინზების ფასი 15 ათასი დოლარია და გამოგონებას არაერთგვაროვანი შეფასებებიც მოჰყვა — ზოგისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მსგავსი ნოვაცია, ზოგი კი აღფრთოვანდა. თავად ოფთალმოლოგი კი დარწმუნებულია, რომ ძვირფასი ლინზები საკმაოდ მოთხოვნადი იქნება ბოლივუდში.

სიმსუქნე ვირუსივით ვრცელდება

ადამიანი, რომელსაც ზედმეტი წონა აწუხებს, საფრთხეს წარმოადგენს გარშემომყოფებისთვის და თუ მსუქან ადამიანს დაინახავთ, მაშინვე უნდა გაეცალოთ, — აცხადებენ ლუიზიანას სამედიცინო კვლევითი ცენტრის თანამშრომლები, რომელთაც დაადგინეს, რომ ჭარბი წონა სულაც არ ყოფილა ჰამბურგერისა თუ კარტოფილი-ფრის ბრალი — ეს ვირუსის „დამსახურებაა"! მკვლევართა აზრით, სიმსუქნეს იწვევს ადენოვირუსი, რომელიც სურდოსავით, ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება. ამერიკელმა სწავლულებმა გამოკვლევა სიმსუქნისადმი მიდრეკილ ადამიანებში ჩაატარეს და მესამედი ამ ვირუსის მატარებელი აღმოჩნდა.

მთელი ქალაქი ერთ სახლში ცხოვრობს

ალასკის შტატში არის პატარა ქალაქი უიტიერი, სადაც მხოლოდ 220 ადამიანი ცხოვრობს, თუმცა გასაკვირი ისაა, რომ მოსახლეობა ერთ კორპუსშია თავმოყრილი. თავიდან 14-სართულიანი შენობა სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებისთვის შენდებოდა, მაგრამ ბინადართა უმრავლესობა ადგილობრივი პორტის მუშაა. სოციალური ცხოვრება დასახლებაში სრულიად მოწესრიგებულია: არის პოლიციის განყოფილება, სკოლა, საავადმყოფო, ეკლესია, ფიტნეს-ცენტრი, კაფე და მაღაზიები. ამ ყველაფრით სარგებლობისთვის კი, უიტიერელებს შორს წასვლა არ სჭირდებათ — ყველა ობიექტი კორპუსშია განთავსებული.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	2	9	4	5	1	6	3	8
1	8	6	9	3	2	7	5	4
5	4	3	8	7	6	2	1	9
9	7	2	1	8	5	4	6	3
4	6	8	3	9	7	1	2	5
3	1	5	6	2	4	9	8	7
8	5	4	2	1	9	3	7	6
6	3	1	7	4	8	5	9	2
2	9	7	5	6	3	8	4	1

სტანდარტი

7	9	8	5	6	4	3	2	1
3	1	6	2	8	9	7	5	4
5	2	4	7	3	1	6	9	8
6	3	5	1	9	2	4	8	7
4	8	9	3	7	6	2	1	5
2	7	1	8	4	5	9	3	6
1	5	7	6	2	3	8	4	9
9	6	3	4	1	8	5	7	2
8	4	2	9	5	7	1	6	3

რთული

7	8	1	9	6	3	5	4	2
4	6	5	2	1	8	3	9	7
9	3	2	7	5	4	6	8	1
6	1	9	5	8	7	4	2	3
8	7	4	3	2	1	9	6	5
5	2	3	6	4	9	1	7	8
3	5	8	4	9	2	7	1	6
2	9	7	1	3	6	8	5	4
1	4	6	8	7	5	2	3	9

ექსპერტი

1	2	9	8	7	6	5	4	3
8	7	3	2	5	4	1	9	6
6	4	5	1	3	9	8	2	7
9	1	4	3	2	8	7	6	5
7	8	2	6	1	5	9	3	4
5	3	6	4	9	7	2	1	8
4	9	8	5	6	2	3	7	1
3	6	7	9	8	1	4	5	2
2	5	1	7	4	3	6	8	9

მე-12 გვერდი: 1. ტრამვაი; 2. როზეტი; 3. მამული; 4. აქტი; 5. ოსბორნი; 6. სპარტაკი; 7. ომბალო; 8. ნახირი; 9. აზიმუტი; 10. იტილი; 11. „აპასიონატა"; 12. პარიკი; 13. ზამბახი; 14. აგესანდრე; 15. ერმოლოვი; 16. იპრიტი; 17. ასპიტი; 18. ტალერი; 19. ატილა; 20. „ნიჭიერი"; 21. ორე; 22. აბერაცია; 23. ანგინა; 24. ტარიგი; 25. „ნაიკი"; 26. ჭიაკოკონა; 27. რატუშა; 28. ტირისკონი; 29. ეკო; 30. პიროგა; 31. რვა; 32. კანი; 33. ბალასტი; 34. კოკაინი; 35. კუპე; 36. ანტონი; 37. ტეტია; 38. „ნივეა"; 39. არშინი; 40. გორი; 41. ალაო; 42. კუსტო; 43. ობი; 44. უშუ; 45. განა; 46. ბალი; 47. დევი; 48. სვიტრი; 49. შასი; 50. ლილო; 51. „ონა"; 52. ნო; 53. ტრასეკა; 54. აბი; 55. ალა; 56. კრუპი; 57. იელი; 58. სარა; 59. სატირა; 60. რე; 61. ნოე; 62. ნოინი; 63. ოზმა; 64. ალი.

უძილობა შრომისუნარიანობას აქვეითებს

კანადელი მოსახლეობის შრომისუნარიანობის დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზი უძილობაა; პროვინცია კვებეკში, რომლის მოსახლეობაც 7 მილიონია, უძილობის სამკურნალოდ წელიწადში დაახლოებით 6,5 მილიარდი დოლარი იხარჯება. ეს თანხა Hackensack University-ს ექსპერტებმა გამოთვალეს. უძილო ღამეების გამო, რომელსაც შფოთიანობა და დეპრესია ემატება, კანდელებს ძალიან უჭირთ სამუშაოსთვის თავის გართმევა და დაკისრებულ მოვალეობებს დროზე ვერ ასრულებენ. როგორც აშშ-ში, კანადაშიც უძილობას ბევრი სადაზღვევო კომპანია იმ სამედიცინო პირობად არ მიიჩნევს, რომელსაც მკურნალობა სჭირდება, არადა გამოკვლევების თანახმად, ქვეყნის მოსახლეობის 10%-ს ქრონიკული უძილობა ტანჯავს. ამ პრობლემის მოგვარებას სუსტი სქესის წარმომადგენელთა 60% ალკოჰოლით ცდილობს. გამოკვლევებმა ისიც დაადგინა, რომ უძილობის გამო ადამიანი წელიწადში 27 სამუშაო დღეს აცდენს, რაც 5 მილიარდი დოლარის დანაკარგს იწვევს.

1. კუთხის შუაზე გამყოფი ხაზი
2 დაპროგრამებული მანქანი
3. კლასიკური ცეკვის ხელოვნება
4. ზნეობრივი დარიგება
5. ნაჭდევებიანი ძელაკი ლითონის საფხეკად
6. სამ-გლოვიარო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები
7. ოლიმპიური სპორტის სახეობა
8. რიგელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი
9. იგივეა, რაც ჟარგონი
10. ტრანსპორ. განსაზღვრული რეგულარული მარშრუტი
11.წყალქვეშ ცურვა სპეციალური აღჭურვილობით
12. ხეკაკუნა ფრინველი
13. ვაჟის დაბადების აღსანიშნავი ზეიმი
14. აიდაჰოს შტატის დედაქალაქი
15. ღამის ფიზიოლოგიური მდგომარეობა
16.მშვიდობის სიმბოლოდ აღიარებული ფრინველი
17. მტკიცე, აღთქმული პირობა
18.საქონლის წონა ჭურჭლის გარეშე
19. ტრადიციული იაპონური ხელოვნება-ყვავილებით კომპოზიციების შექმნა
20.გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქი
21. ხისძირიანი ფეხსაცმელი
22. რამინის სატრფო
23. მაროს ქმარი „გარიგებაში“
24.ვრცელი ველი ჩრდილოეთ ამერიკაში
25. გათავისუფ-ლებული ყმა
26. ღვთისმშობელი მარიამის დედა
27.ჩინეთის ქალაქ კულჯას მეორე სახელი
28. ბრინჯაოს ძველქართული სახელი
29.მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
30. ფეხბურთის მეფე
31. გაზაფხულის ყვავილი
32. იტალიის საფეხბურთო კლუბი
33.წვეტიანი წანაზარდი მცენარის ღეროზე
34. ტემპერატურის საზომი ერთეული
35.ბიბლიური პატრიარქი
36.სახელმწ. ატრიბუტი
37. ისრაელის წარმოების ავტომატი
38. ერთმანეთში გაუხსნელი 2 სითხის ნარევი
39. ჰოლანდიური გვარების წინსართი
40. სოფელი აფხაზეთში
41. სივრცეში გასარკვევი საგანი
42. „ყინულების ქვეყანა“
43. სკანდინავიური ხურდა ფული
44. ინდიელთა ფეხსაცმელი
45. აშშ-ის ტელეპრემია
46. მოქანდაკეთა ხის საჭრისი
47. ცნობილი ბრაზილიური ტელესერიალი
48. მეფე დავით VII-ის მეტსახელი
49.უფლის მიერ შექმნილი პირველი ადამიანი
50. ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი
51.ცისფერი ნილოსის სახელწოდება ეთიოპიაში
52.მსახიობი ... ბრინერი
53.მევიოლინე ... ისაკაძე
54. დეკორატიული ყვავილი
55. წვრილი ქვიშა
56.დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
57. ნოტის ხანგრძლივობის გამადიდებელი ნიშანი
58. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
59. ჰოლივუდის მსახიობი კურტ ...
60. ურჩხულ ქარიბდას მეწყვილე
61. რემბრანდტის I ცოლის სახელი
62.ინდოელი ქალის ტრადიციული სამოსი
63. სოკოს ქსელი საკვებ პროდუქტზე
64. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
65. კოლუმბის ერთ-ერთი კარაველა
66. საგანთა ჩამონათვალი
67. ფუჭი, უშედეგო
68. მხარე, მიდამო
69. პროსპერ მერიმეს ნოველა
70. ინდიელთა ტომი
71. სახელმწიფო ფულადი დამხარება
72. ქართული ფილმი „ჩვენი ...“
73. სინათლე ბავშვის ენაზე
74.ორმხრივი ნახატი გამჭვირვალე ქსოვილზე
75. ლეგენდარული ავსტრიელი ავტომრბოლელი ... ლაუდა
76. ღამის ფრინველი
77. დიდი ჩაქუჩი
78. მწერალი ... ფანჯიკიძე
79. ქალაქი ლიტვაში
80. ყვავილის ლარნაკი
81. ზოგი პროფესიის პირთა გაერთიანება
82. ბასკ ტერორისტთა გაერთიანება
83. თევზის ნახარში
84. დეტექტივების „დედოფალი“ ... კრისტი
85. დედამიწის ანტიპოდი

ბროწეული სტრესის წინააღმდეგ

ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სტრესის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებას მიაგნეს — ბროწეულის წვენი სტრესის ჰორმონის დონეს აქვეითებს, ამშვიდებს ნერვებს და ზრდის შრომისუნარიანობას. ექსპერიმენტში 60 მოხალისე მონაწილეობდა, რომელთაც 14 დღის განმავლობაში ყოველდღიურად ორ ჭიქა ბროწეულის წვენს ასმევდნენ. პირველ და ბოლო დღეს კითხვარი შეავსებინეს, სადაც საკუთარი განწყობის, სამსახურთან დამოკიდებულებისა და ხასიათის შესახებ უნდა ჩაეწერათ. აღმოჩნდა, რომ დღეში 250 მილილიტრი ბროწეულის წვენი ადამიანს მხნეობით ავსებს, ზრდის შრომისუნარიანობას და განწყობასაც ამაღლებს; ეს სასმელი საუკეთესო ანტიდეპრესანტია და სტრესის ჰორმონის — კორტიზოლის დონეს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.